# გილოცავთ მარიამობას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

8 აგვისტოდან!
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4
+
ფუფნფ რჰბცნბ
* კფჰბ




cfvif,fsb7 @* fudbcnj7 @)!@ | 1204 (5893) | afcb5 #) stshb

## ნანა კაკაბაძე: ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ სისხლი არ დაიღვაროს“ გვ.3



## ბიძინა ივანიშვილი უცხოეთიდან 1.000 ქართველ ბიზნესმენს ჩამოიყვანს გვ.2

## ივანიშვილი სახელმწიფო წყობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას არ გამორიცხავს გვ.2

## ბაქრაძე ოპოზიციაში გადავა? გვ.6



## რა ხდება წინასაარჩევნოდ კახეთში გვ.4

## ფიქრია ჩიხრაძე: გვ.4 მილიონი ლარის მისაღებად პარტიების რიგი დადგა“





## არჩევნებში მონაწილე პარტიებმა გვ.5 ფილტრში უნდა გაიარონ



## ივანიშვილი და ბაქრაძე ამომრჩეველთა ხმებს გვ.2 ძმურად გაინაწილებენ



## თინა ხიდაშელი: წინასაარჩევნოდ თავისუფლების ქარტიის“ ამოქმედება კუდიანებზე ნადირობა“ გვ.5 იქნება“



## პარლამენტის ორი გვ.4 დარბაზის დემონტაჟი განხორციელდა

ISSN 1987-9385

**5** ქინვალის რწმუნებულის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციას ჩაბარდა

**2** ქართულ ოცნებას“ სარეკლამო ბილბორდებზე უარი უთხრეს

**3** ნაციონალური მოძრაობა“ პირველ სექტემბერს თბილისსა და 11 ქალაქში ყრილობას გამართავს

**3** ფოთთან რუსეთის ფედერაციის დროშით მცურავი გემი დააკავეს

კევ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ

# ბიძინა ივანიშვილი უცხოეთიდან 1.000 ქართველ ბიზნესმენს ჩამოიყვანს

გერა მამულაშვილი


ბიძინა ივანიშვილი

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა რაჭველ ამომრჩევლებს კოალიციის პრიორიტეტები გააცნო.

ივანიშვილმა პირველ რიგში სოფლის მეურნეობასა და ტურიზმის მნიშვნელობაზე ისაუბრა:

— ერთ მილიარდიან პროექტში აუცილებლად განიხილება ის, რომ იოლად ხელმისაწვდომი ფული გექნებათ თქვენ, რაჭველებს. თქვენ თვითონ შეიძენთ და ააშენებთ ხორცის, რძისა და ყველის გადამამუშავებელ ქარხნებს და ამით სტიმული მიეცემა ამ დარგის განვითარებას. მე ძალიან კარგად ვიცი, როგორ გაატიალეს ჩვენი ტყეები. ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა უნდა იყოს ადგილზე, აქედან მორები არ უნდა იზიდებოდეს და რაც მთავარია, ამისგან სარგებელი ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს და არა ვილაც კამპანიებმა, რომლებიც არც კი ვიცით, საიდან მოდიან.

— ჩვენი ხელისუფლება ისეთ ეკონომიკურ კანონებს იღებს, რომლებიც ინვესტიციების შემოდინებას ეწინააღმდეგებიან, — აცხადებს ივანიშვილი ონის მოსახლეობის წინაშე გამოსვლისას. მის თქმით, გამარჯვების შემთხვევაში „ქართული ოცნება“ ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოსვლას და ეკონომიკის აღორძინებას. ივანიშვილის განცხადებით, დაახლოებით 2-3 წელიწადში საზოგადოება იგრძნობს შვებას.

„ქართული ოცნების“ ლიდერმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის აღორძინების მთავარი ფაქტორი მცირე და საშუალო საწარმოების გახსნაა. როგორც ივანიშვილმა განაცხადა, პირადად იცნობს საზღვარგარეთ 1.000-ზე მეტ ქართველ ბიზნესმენს და ეს ადამიანები ჩამოვლენ საქართველოში და განახორციელებენ ინვესტიციებს.

მისი თქმით, რაჭაში ცხოვრობდა 2.000-მდე ებრაული ოჯახი, ამჟამად კი 4-5 ოჯახია დარჩენილი. როგორც „ქართული ოცნების“ ლიდერმა განაცხადა, ის ებრაელები რომლებიც საქართველოდან წავიდნენ და ახლა საზღვარგარეთ ბიზნესი აქვთ, დაბრუნდებიან საქართველოში და მიიღებენ მონაწილეობას ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

„გაჭირვება შეუძლია აღკვეთოს ბიზნესმა და არა დასაქმების სამინისტრომ“, — ამბობს ივანიშვილმა. მისივე განცხადებით, დასაქმების მინისტრის კომპანია დაკავებულია ჭიათურის ტყეების გაკაფვით.

ივანიშვილის განცხადებით, თუ საქართველო თავად არ გახდა სამაგალითო ქვეყანა, ვერ დაიბრუნებს აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს და ქვეყანამ უნდა მისცეს მაგალითი აფხაზ და ოს ხალხს:

„აფხაზი და ოსი ძმების დაბრუნების საწინდარი დემოკრატიული და განვითარებული ქვეყანაა. თუ სამართლიანი სასამართლო და ძლიერი ეკონომიკა არ გვექნება, ეს ვერ მოხდება. დღეს ქართველები თავად გავრბივართ აქედან და როგორ დავარწმუნოთ ისინი, რომ ჩვენთან იცხოვრონ“.

## ხელისუფლება ინვესტიციების შემოსვლას ეწინააღმდეგება

ივანიშვილის თქმით, „მიხეილ სააკაშვილმა საბჭოთა კავშირი დააბრუნა თავისი იდეოლოგიით“. მისივე თქმით, პრეზიდენტი „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს, რომ კოალიციას საბჭოთა კავშირში დაბრუნება სურს. თუმცა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილმა თავად დააბრუნა საქართველოში საბჭოთა კავშირი, რადგან ქვეყანაში არ არსებობს განსხვავებული აზრი და არსებობს პარტია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც კომუნისტურ პარტიას ჰგავს.

„მათ საქართველოს ეროვნული დღესასწაული გადააქციეს პარტიულ დღესასწაულებად. სად გსმენიათ, „ვაჟაობა“ ერთ თვეში ორჯერ გვეზეიმოს“.

მისივე თქმით, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მსგავსი არც განცხადება გაუკეთებია და არც მოქმედებით გამოუხატავს:

„სააკაშვილი საზოგადოებას მუდამ აშინებს რუსეთით. რუსი არ გვინდა. მამისონის უღელტეხილი 18 კილომეტრით არის გადმოწეული. იქ რუსეთის დროშა ფრიალებს. ვინ გააკეთა ეს, ივანიშვილმა?“.

მან ასევე ისაუბრა რუსულ აგრესიაზეც და განაცხადა, რომ რუსები დიდი ხანია, ცდილობდნენ საქართველოში შემოჭრას, ამისთვის საბაბს ეძებდნენ და 2008 წლის აგვისტოში ეს მიზეზი მათ მიხეილ სააკაშვილმა მისცა: „როგორ მოხდა, რომ სწორედ მისმა სისულელეებმა მისცა რუსეთს საშუალება, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს გადმოელახა კავკასიონი“.

ივანიშვილმა ისაუბრა ხელისუფლების ბრალდებაზეც, თითქოს ის არის რუსეთის აგენტი. მისი განმარტებით, ხარჯების 99 პროცენტს საქართველოს ახმარდა: „თუ ასეთ აგენტებს გზავნის რუსეთი საქართველოში, ის ყოფილა ყველაზე საყვარელი ქვეყანა“.

„ქართული ოცნების“ ლიდერი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში არ გამორიცხავს, რომ სახელმწიფო წყობასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდეს.

„ჩვენ პლურალისტური კოალიცია გვაქვს. კოალიციაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ირაკლი ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებს“ სურვილი აქვთ, რომ საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყოს, თუმცა „რესპუბლიკელებს“ მკვეთრად განსხვავებული პოზიცია აქვთ და უფრო საპარლამენტოსკენ იხრებიან. დანარჩენ პარტიებს პრინციპული მოსაზრება არა აქვთ. პირადად მეც, უფრო მეტად საპარლამენტო წყობისკენ ვიხრები და უპირატესობას მას ვანიჭებ, თუმცა პრინციპული მნიშვნელობა არც ჩემთვის არ აქვს. მთავარია, კანონი დავიცვათ და მისი პატივისცემა ვისწავლოთ“.

მისივე განმარტებით, თუ აუცილებელი გახდება, კოალიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრს საზოგადოებას ჰკითხავს და რეფერენდუმს ჩაატარებს:

„როცა გუნდში ამ საკითხზე ჭიდილი დაიწყო, მე ვთხოვე, რომ ეს თემა მომავლისთვის გადაგვედო. ჩვენ საზოგადოებას შევეკითხებით. თუ საჭირო იქნება, რეფერენდუმს ჩავატარებთ და ქართველ მოსახლეობასთან შევათანხმებთ იმას, თუ რომელ წყობას აირჩევს“.

ონში „ქართული ოცნების“ აქციის დაწყებამდე ინციდენტი მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყებოდა, ბარათაშვილის ქუჩაზე, ეკლესიის ტერიტორიაზე, შეკრებილ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებთან „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე აქტივისტი ქალი მივიდა, რომლებიც სკანდირებდნენ — „გაუმარჯოს „ნაციონალურ მოძრაობას“, „გაუმარჯოს მიხეილ სააკაშვილს“. მათი მტკიცებით, ონის რაიონის მოსახლეობის 90% სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია, მოქალაქეების უმეტესობა კი, აქციაზე „ბიძინა ივანიშვილის ფულის გამო მივიდა“.

„ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების ასეთ განცხადებებს „ქართული ოცნების“ გაღიზიანება მოჰყვა და მხარეებმა ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. „ქართული ოცნების“ აქტივისტების ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ქალები გამგეობის თანამშრომლები არიან.

## ქართული ოცნება“ შსს-ს მთავარი ექიმის პოლიტიკური მოტივით დაკავებაში ადანაშაულებს

„ქართული ოცნება“ შინაგან საქმეთა სამინისტროს, კასპის საავადმყოფოს მთავარი ექიმის გედი თათრიშვილის პოლიტიკური მოტივით დაკავებაში ადანაშაულებს.

„ქართული ოცნების“ კასპის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, გედი თათრიშვილის შვილი კოალიციის აქტივისტია.

დაკავებამდე ერთი დღით ადრე მან თათრიშვილის სახლის წინ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა, სადაც თათრიშვილი მისი შტაბის წევრებს გამოელაპარაკა. კოალიციის წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ გედი თათრიშვილის მეორე დღით დაკავების მიზეზი სწორედ ეს შეხვედრა გახდა.

ცნობისთვის: კასპის საავადმყოფოს მთავარი ექიმი პოლიციამ საავადმყოფოში დააკავა.

დაკავებიდან 7-8 საათის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. ამჟამად დაკავებული გორის იზოლატორში იმყოფება.

შსს ცნობით, თათრიშვილმა რამდენიმე წლის წინ საავადმყოფოს კუთვნილი ელექტროგამანაწილებელი მოიპარა და მისი დაკავების მიზეზი სწორედ ეს გახდა.

მედიანიუსი

## ქართულ ოცნებას“ სარეკლამო ბილბორდებზე უარი უთხრეს

ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერის მაია ფანჯიკიძის თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ თბილისში სარეკლამო ბილბორდების მფლობელ კომპანიებს საარჩევნო ბანერების განთავსების თხოვნით ჯერ კიდევ მაისში მიმართა, თუმცა უარი მიიღო.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ფანჯიკიძემ აღნიშნა, კომპანიებმა უარის მიზეზად დაასახელეს ის, რომ ყველა სარეკლამო ბანერი დაკავებული იყო.

„მას შემდეგ აღნიშნული კომპანიებისთვის აღარც მიგვიმართავს, რადგან ჩვენი ანგარიშები დააყადაღს და არც სარეკლამო ბანერების და არც ბილბორდებზე განთავსების ფული აღარ გვქონდა“,-აღნიშნა ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერმა

კოალიციის წარმომადგენლის, ჩუღურეთის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ვიქტორ დოლიძის თქმით, სარეკლამო ბილბორდებზე ყველგან „ნაციონალური მოძრაობისა“ და ხელისუფლებასთან დაახლოებული ოპოზიციური პარტიების საარჩევნო ბანერებია განთავსებული.

„ჩუღურეთში, სადაც მე მაჟორიტარად ვიყრი კენჭს, სარეკლამო ბილბორდებით დავინტერესდი, თუმცა ყველა ხელისუფლებას და მის მეგობარ პარტიებს ჰქონდათ დაკავებული. რაც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტს, განსაკუთრებით ყვითელ სამარშრუტო ტაქსებზე განსათავსებელ რეკლამებს, თავის შეწუხებადაც კი არ ღირს, რადგან ტენდერის დროს კარგად გამოჩნდა, ვისაც ეკუთვნოდა ისინი და ჩვენ საარჩევნო ბანერების განთავსების საშუალებას არასდროს მოგვცემენ. თუმცა ეს ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს ყოველგვარი რეკლამის გარეშეც შევძლებთ გამარჯვებას. ბილბორდებსაც ხელისუფლებას და მის მეგობარ პარტიებს ვუტოვებთ, რომლებსაც ასე ეშინიათ ჩვენი გამარჯვების, ჩემთვის პირადად მსგავსი საკითხები მეორეხარისხოვანია. ხალხმა ბანერის გარეშეც იცის, ვის უნდა მისცეს ხმა“,-აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას ვიქტორ დოლიძემ.

მედიანიუსი

## დღეს მარიამობაა

დღეს მართლმადიდებლური სამყარო ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს აღნიშნავს



დღესასწაულთან დაკავშირებით ეკლესია მონასტრებში საზეიმო წირვა შესრულდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წირვას სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში აღავლენს.

როგორც ,,მედიანიუსს“ საპატრიარქოში განუცხადეს, წირვა დილის 9.00 საათზე დაიწყება, დღე საღამოს კი 18.00 საათზე ლოცვა შესრულდება.

ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრებში ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ლიტანიობა სრულდება და მორწმუნეები მარიამობას ღამისთევით ხვდებიან.

მარიამობა მართლმადიდებლობაში თორმეტ უდიდეს დღესასწაულთაგან ერთ-ერთია და ყოველწლიურად 28 აგვისტოს აღინიშნება.

გადმოცემის თანახმად, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ჰეროდე მეფის მიერ ქრისტიანთა დევნის გამო, 43 წლის ასაკში, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად ეფესოს მიაშურა, იყო კვიპროსზეც — მკვდრეთით აღმდგარ ლაზარესთან, ქრისტიანობა იქადაგა ათონის წმიდა მიწაზე, ბოლოს კი, კვლავ იერუსალიმში დაუბრუნდა და უფლის ზეცას ამაღლების შემდეგ მეჩვიდმეტე წელიწადს იერუსალიმში, სიონში წმინდა იოანე ღვთისმეტყველი სახლში გარდაიცვალა, სადაც უწმიდესი დედა მიძინებამდე ცხოვრობდა.

მედიანიუსი

## ივანიშვილი სახელმწიფო წყობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას არ გამორიცხავს

კოალიცია ,,ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, სახელმწიფო წყობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას არ გამორიცხავს.

ამის შესახებ ივანიშვილმა ონში ჟურნალისტებს განუცხადა.

,,ქართული ოცნების“ ლიდერის თქმით, კოალიციაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა.

,,თავისუფალ დემოკრატებს“ სურთ, რომ საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყოს, რესპუბლიკელებს კი მკვეთრად განსხვავებული პოზიცია აქვთ და უფრო საპარლამენტოსკენ იხრებიან. დანარჩენ პარტიებს პრინციპული მოსაზრება არ აქვთ. პირადად მეც, უფრო მეტად საპარლამენტო წყობისკენ ვიხრები, თუმცა პრინციპული მნიშვნელობა არც ჩემთვის აქვს. მთავარია კანონი დავიცვათ და მისი პატივისცემა ვისწავლოთ“-აღნიშნა ივანიშვილმა და დასძინა, რომ საჭიროების შემთხვევაში კოალიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრს საზოგადოებას ჰკითხავს და რეფერენდუმს ჩაატარებს.

მედიანიუსი

## ივანიშვილი და ბაქრაძე ამომრჩეველთა ხმებს ძმურად გაინაწილებენ

ლეიბორისტული პარტია მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილმა და დავით ბაქრაძემ გუშინდელი ხელის ჩამორთმევით დაადასტურეს, რომ არჩევნების შემდეგ ამომრჩეველთა ხმებს ძმურად გაინაწილებენ.


კახა ძაგანია

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა, კახა ძაგანიამ გუშინ ივანიშვილისა და ბაქრაძის ცაგერში, წმინდა მაქსიმეს სახელობის ტაძარში შეხვედრა და ხელის ჩამორთმევა გაიხსენა და განაცხადა, რომ ეს ოპონენტების პირველი შეხვედრა არ ყოფილა.

,,ლევან გაჩეჩილაძე მიხეილ სააკაშვილს სანთლით ხელში შეხვდა და ამით ანიშნა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით მის წინააღმდეგ არ წავიდოდა. ეს პირველი შეხვედრა არ არის ივანიშვილისა და ხელისუფლების წარმომადგენლების, სხვა ადგილებშიც შეხვედრიან. კახეთში სააკაშვილს შეხვდა და იქაც ეკლესია იყო გამოყენებული. ასე რომ, ეს ორი პოლიტიკური ჯგუფი სინამდვილეში არის ერთი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ძალაუფლებას გადაინაწილებს პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ“, — განაცხადა კახა ძაგანიამ.

როგორც კახა ძაგანიამ განაცხადა, ნაციონალურმა მოძრაობამ და კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ“ განვლილი შაბათი-კვირა საარჩევნო კომისიებში ძალაუფლების გადასანაწილებლად გამოიყენეს, რის შედეგადაც რამდენიმე ათეული კომისიის მდივანი ხელისუფლების სატელიტი პარტიის წარმომადგენელია.

,,იქ არის „ოცნების“ ხალხი, ,,ქრისტიან-დემოკრატები“, სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც ხელისუფლების სატელიტი პარტიები არიან. მათ გადაინაწილეს სარჩევნო კომისიებში მდივნების პოზიციები, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი პოსტია სარჩევნო უბანზე“, — აღნიშნა ძაგანიამ.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

## საქართველოს გზა“ ოქტომბრის არჩევნებში მხარს „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს

პარტია ,,საქართველოს გზა“ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს და მხარს კოალიცია ,,ქართულ ოცნებას“ უჭერს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ,,საქართველოს გზის“ თავმჯდომარემ, კახა სეთურიძემ განაცხადა, დღეს როცა სათავეში არაეროვნული ხელისუფლებაა და ბრძოლა საქართველოს გადარჩენისთვის მიდის, პარტია ,,საქართველოს გზა“ გრძნობს ქვეყნის და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას და უარს აცხადებს არჩევნებში მონაწილეობაზე.

,,ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსით მზად ვართ კოალიცია ,,ქართულ ოცნებას“ დავეხმაროთ. ვურჩევთ სხვა ჭეშმარიტ ოპოზიციურ პარტიებს, ანალოგიური ნაბიჯი გადადგან. მოვუწოდებთ ჩვენი პარტიის მომხრეებს არჩევნებში მხარი კოალიცია ,,ქართულ ოცნებას“ დაუჭირონ, რადგან დღეს როგორც არასდროს, ცვლილებების დროა და ეს დამოკიდებულია ამ არჩევნებში ჭეშმარიტი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის გამარჯვებაზე,“-აღნიშნა სეთურიძემ.

მედიანიუსი

## ნაციონალური მოძრაობა“ პირველ სექტემბერს თბილისსა და 11 ქალაქში ყრილობას გამართავს

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პირველ სექტემბერს თბილისსა და საქართველოს 11 ქალაქში ყრილობას გამართავს. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენიაზე განაცხადა, საარჩევნო ყრილობაზე იგეგმება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების გამოსვლები, რომლებიც საზოგადოებას წინასაარჩევნო პროგრამას — „მეტი სარგებელი ხალხს“ — გააცნობენ.

„მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ქალაქში გამართულ საარჩევნო ყრილობაში მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი რეგიონის პარტიის შტაბის წევრებმა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა. თბილისში შეიკრიბებიან მხოლოდ თბილისის ორგანიზაციის წევრები და მხარდამჭერები“, — განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

მისი ინფორმაციით, ეს იქნება წინასაარჩევნო პარტიული ღონისძიება. შესაბამისად, ყველა ხარჯი გაღებული იქნება საარჩევნო ფონდიდან და იქნება საზოგადოებისთვის გამჭვირვალე.

აღნიშნულ შეხვედრებზე პარტიის ლიდერები საზოგადოებას გააცნობენ ინფორმაციას, თუ როგორ აპირებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მეტი ხალხის დასაქმებას, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სოფლის გაძლიერებას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 1 სექტემბერს წინასაარჩევნო კამპანიასაც ოფიციალურად დაიწყებს. იმავე დღეს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სიასაც წარადგენს.

ჩიორა თაქთქიშვილის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ იწვევს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგს ახორციელებენ და მოუწოდებს მათ, 1 სექტემბერს პარტიის საარჩევნო ყრილობის ფარგლებში გამართულ თითოეულ ღონისძიებას მონიტორინგი გაუწიონ.

მედიანიუსი

# ნანა კაკაბაძე: ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ სისხლი არ დაიღვაროს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან

***— ქალბატონო ნანა, ამერიკელი ექსპერტები საქართველოში ხედავენ იმის საფრთხეს, რომ ლიბიის და სირიის მსგავსი პროცესები განვითარდეს და სისხლი დაიღვაროს. თქვენი აზრით, რამდენად არის ამის საფრთხე?***

— საფრთხე მართლაც რომ სერიოზულია. მით უმეტეს, ტელევიზიები აშუქებენ იმ დაპირისპირებას, რომელიც განსაკუთრებით რეგიონებში შეინიშნება. ჩვენ ვხედავთ აშკარა ტერორს, განსხვავებული აზრის წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან. ვხედავთ იმას, რომ საქმე ქვების დაშენამდე მივიდა, ჯერ არჩევნების დღე არ არის ისე ძალიან ახლოს და უკვე გამოჩნდნენ ქვების მსროლელები, უკვე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ფიზიკურად იწევენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების წინააღმდეგ და უკვე ფიზიკური დაპირისპირება სახეზეა. ასევე სახეზეა ქვების სროლა და ამ ქვებით დაზიანებული ადამიანები და ვიმეორებ, ჯერ არ დამდგარა არჩევნების დღე და არ არის გამორიცხული, რომ თუ მართლაც არ შეიქმნა საარჩევნო გარემო, თუ დღეს ადამიანებს არ მიეცათ არჩევნის გაკეთების საშუალება, შესაძლებელია, ეს აგრესია კიდევ უფრო მძიმე გახდეს, როგორც არჩევნების, ისე არჩევნების მეორე დღეს. ეს საფრთხე ნამდვილად არსებობს. ამ საფრთხეს ალბათ ხედავენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები. განსაკუთრებით, ალბათ, ქართული ოცნებისთვის უნდა იყოს ეს სერიოზული პრობლემა, რომ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის უკვე გაჩნდა ძალიან სერიოზული დაძაბულობა და არის საშიშროება, რომ ამან შეიძლება სისხლის ღვრამდეც კი მიგვიყვანოს. ამიტომ უნდა გაკეთდეს მართლაც ყველაფერი იმისათვის, რომ რაღაცნაირად თავიდან იქნეს აცილებული სისხლის ღვრა და დაპირისპირება და ამაში ყველაზე დიდი როლის შესრულება შეუძლიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს, სადამკვირვებლო მისიებს, ერთის მხრივ, ის, რომ ჯერ კიდევ არჩევნებამდე მოახდინონ ზეწოლა ხელისუფლებაზე, რომ შექმნას საარჩევნო გარემო, შექმნას მინიმალური პირობები იმისათვის, რომ ადამიანებს მიეცეთ საშუალება, გააკეთონ თავიანთი არჩევანი. ასევე არჩევნების დასრულების შემდგომ, აუცილებლად უნდა გაკეთდეს ობიექტური დასკვნა, რომ ამან არ გამოიწვიოს კიდევ უფრო გაღიზიანებული საზოგადოების დაძაბულობა და გაღიზიანება. ამაზე ჩვენც ვფიქრობთ, ჩვენ ვემზადებით კონფერენციისთვის. გვინდა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ასეთი რეზოლუცია გავაკეთოთ, სადაც დღეს შექმნილი ვითარება იქნება აღწერილი, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა წინა საარჩევნო პერიოდში და მოწოდება ხელისუფლებისთვის, რომ შექმნას საარჩევნო გარემო. ასევე მოწოდება საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ ჩაერიონ სერიოზულად და აიძულონ ხელისუფლება, მოექცეს კანონის ჩარჩოებში, თორემ თქვენ იცით, რომ ამერიკის დეკლარაციაც კი ამბობს იმას, თუ ადამიანებს არ მიეცათ თავისუფალი არჩევნის საშუალება, ერთადერთი, რაც საზოგადოებას შემდგომ რჩება, ეს არის ამბოხი, რაც, რა თქმა უნდა, ასეთი პატარა ქვეყნისთვის იქნება დამანგრეველი და დამღუპველი. ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნ და გავაკეთოთ იმისათვის, რომ არჩევნების დღეს მართლაც იქნეს შექმნილი საარჩევნო გარემო. თუმცა ამას წინ უნდა უძღვოდეს სხვადასხვა პროცესები, თუნდაც ის, რომ მედია გახდეს თავისუფალი...

***— ამისათვის, ალბათ, ხელისუფლების კეთილი ნებაა საჭირო...***

— რა თქმა უნდა. ეს მოგელაძის აბსოლუტურად უსამართლო და უკანონო სადამსჯელო ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების წინააღმდეგ, კიდევ დამატებით მექანიზმად. სასამართლოს გარდა, კიდევ ახალი სადამსჯელო მექანიზმი შემოვიდა, რომლის აღკვეცა აუცილებლად უნდა მოხდეს. ცალსახაა, რომ ის ამ ძალას იყენებს მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების წინააღმდეგ, ხოლო დაუსჯელი რჩება ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები. იგივე სახელისუფლო რესურსები და ბიუჯეტის გამოყენება, ჩვენ ვხედავთ ავტობუსებს, რომლებიც კოორდინატორებს დაატარებენ რეგიონებში უფასოდ, თავისი სადილებით და ასე შემდეგ და ეს რჩება დაუსჯელი, მაშინ, როდესაც ელემენტარული ქმედება ოპოზიციის, მაშინაც კი როდესაც იქ არანაირი კანონსაწინააღმდეგო არაფერი არ ხდება და ყველაფერი კანონის ჩარჩოებშია, სწორედ მოგელაძის სამსახურით და სხვა მექანიზმებით ცდილობენ, რომ ეს გამოაცხადონ კანონის დარღვევად და ასეთი ადამიანების წინააღმდეგ გამოიყენონ უმკაცრესი სანქციები. ბოლოს და ბოლოს, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ერთიანად გროვდება და შემდგომ ამოხეთქავს ეს არჩევნების დღეს. ამიტომ ყველას ინტერესებში უნდა იყოს ეს, იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დამკვირვებლებისა, რომლებიც აქ ჩამოსულები არიან და მე მჯერა, რომ სწორედ მათთვის არის მნიშვნელოვანი დღეს საქართველოში ჩატარდეს დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები და აუცილებლად სამოქალაქო საზოგადოებამ თავისი ხმა უნდა მიაწვდინოს, როგორც ხელისუფლებას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს.

***— ქალბატონო ნანა, მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი გამოდის და აცხადებს, რომ ჩვენ არ ვემზადებით არჩევნებისთვის, ჩვენ ვემზადებით შემდეგი დღეებისთვისო. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს, ხოლო ქუჩაში გამოსულ საზოგადოებას ძალისმიერი მეთოდებით გაუსწორდება?***

— ის რომ ყველაფერზე წამსვლელია, ამას თვითონვე იძახის და სწორედ ეს არის საფრთხე. დღეს ქვეყნისთვის ყველაზე დიდი საფრთხე არის ის, რომ ხელისუფლება მიდის ყველანაირ უკანონო ქმედებაზე იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება. მისი მთავარი არგუმენტი, რისთვისაც ასე იქცევა, არის ის, რომ ინარჩუნებს ძალაუფლებას. პირდაპირ გეუბნება, რომ ნებისმიერი ფორმებით, კანონით იქნება გათვალისწინებული თუ კანონის გარეშე, მე ამ ძალაუფლებას ვინარჩუნებ. ჩვენმა პრეზიდენტმა განაცხადა კიდეც, რომ როგორ, ჩემ აშენებულ ქვეყანას იმათ დავუტოვებ და დავანგრევინებო?! ანუ ის თავის საკუთრებად მიიჩნევს ამ ქვეყანას, ხელისუფალის როლში კი არ არის, რომელიც გარკვეული ვადით აირჩია საზოგადოებამ და დღეს მისი გადარჩევა უნდა. არა, მან ჩათვალა, რომ ეს ქვეყანა მისი საკუთრებაა, უდევს ჯიბეში და არავის მისცემს საშუალებას, ჯიბიდან ამოაცალონ. აი, ეს არის ტრაგედია, სწორედ ასეთი აზროვნება და მენტალიტეტია ტრაგიკული ქვეყნისთვის და ბუნებრივია, ასე მოაზროვნე ხელისუფლებისგან უნდა ელოდო ყველანაირ ცუდს, მაგრამ საზოგადოება იმისთვისაც უნდა იყოს მოწოდებული, რომ რაღაცნაირად თავი დაიცვას თუნდაც ამ სიტუაციაში და თავდაცვის ერთ-ერთი მექანიზმი არის საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო ექსპერტების ძალისხმევა, მათი ყურადღების მიპყრობა და თვითონ საზოგადოების აქტიურობა, იმისათვის, რომ უნდა დაინახოს ხელისუფლებამ, რომ არანაირ ძალის გამოყენებას არ ექნება აზრი, იმიტომ, რომ ხალხის ძალა გაცილებით მეტია, ვიდრე იმ ძალისმიერი უწყებების, რომლებსაც დღეს აქვს თუნდაც იარაღი, ჯარი, პოლიცია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. უნდა დაინახოს, რომ ასეთი ძალის მასშტაბური გამოყენება, ამ ხელისუფლების კიდევ უფრო მეტი კრახი იქნება, ვიდრე არჩევნების გზით წასვლა ამ ხელისუფლებიდან. ძალიან მოკლე დროა დარჩენილი იმისათვის, რომ ხელისუფლებამ ეს კარგად გაიაზროს. ის არის აბსოლუტურ აგონიაში. მაშინ, როდესაც მან ქვების სროლა დაიწყო, ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ ის იყო უკვე აგონიაში. შემდგომ უკვე ყველა ის გამონათქვამი, რომელსაც დღეს პირველი პირი აკეთებს, ეს არის სრული აგონია ხელისუფალის. ღრუბელ-ღრუბელ მალვას და მიუნჰაუზენობას რომ თავი დავანებოთ, რასაც ის იმუქრება, რომ პირველი ოქტომბერი არის განადგურების დღე კლანების, ამის და იმის, როცა ის ასეთ მოწოდებებს აკეთებს, რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან სერიოზული საფრთხის შემცველი და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელისუფლებისაგან მომავალი დიდი საფრთხე, როგორმე ავაცილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას.

***— ქალბატონო ნანა, როდესაც თქვენ საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლაზე და ზეგავლენაზე საუბრობთ, გასულ კვირას ჩვენ მოვისმინეთ ეუთოს დასკვნა, რასაც ხელისუფლების მხრიდან ცინიკური განცხადებები მოჰყვა. იგივე ნიკა რურუამ სისულელე უწოდა ამ ყველაფერს...***

— ჩვენ ხომ გვესმის, ვისთანაც გვაქვს საქმე და რაზეც ვსაუბრობთ. მართალია ეუთოს დასკვნაზე ნიკა რურუამ გააკეთა ასეთი განცხადება, მაგრამ მას მოუწია ცოტა ხნის შემდეგ ამ სიტყვების უკან წაღება, შეარბილა თავისი გამონათქვამი და ჟურნალისტებს გადააბრალა მისი საკმაოდ არაკორექტული გამონათქვამი. ეს იყო მისი პოზიცია და უბრალოდ მას მოუწია უკან დახევა. ამიტომაც თუკი მხოლოდ და მხოლოდ ეუთო კი არა, მთელი სადამკვირვებლო მისიები ამას იტყვიან ყველანი ერთ ხმაში, იმას, რაც არის რეალურად, ამ შემთხვევაში ისინი უკვე ამ რიტორიკას ვეღარ მიმართავენ და იძულებული გახდებიან აღიარონ შეცდომები. რაც მთავარია, დასავლეთმა არ უნდა აღიაროს არალეგიტიმური არჩევნები. ხელისუფლებამ წინასწარ უნდა იცოდეს, რომ გაყალბებულ არჩევნებს არავინ არ „გაუპრავებს“. ეს თუ მას ეცოდინება, მაშინ ისინი ამაზე აღარ წავლენ. მთავარია, რომ ეს დაანახვონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომ ეს არ არის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ნაგვის ყუთიდან ამოღებული ბიულეტენების მიუხედავად, მას ამერიკის იმდროინდელმა პრეზიდენტმა მიულოცა გამარჯვება, მაშინ, სანამ ჯერ კიდევ ცესკო შეაჯამებდა შედეგებს. ეს ის დრო აღარ არის, რაღაც შეიცვალა, მიდგომები შეიცვალა დასავლეთის, ინფორმირება შეიცვალა და ისინი უფრო მეტად არიან დღეს ინფორმირებულები, თუ რა ხდება საქართველოში და ილუზია იმის შესახებ, რომ ეს არის დემოკრატიის შუქურა, უკვე დაიმსხვრა. აი, ეს უნდა დაანახონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა. მართლაც ძალიან დიდი მადლობა ეუთოს და ოდირის წარმომადგენლებს, რომლებმაც ასეთი ობიექტური დასკვნა დადეს და გაბედეს და თქვეს ის, რასაც აქამდე სხვები ვერ იძახდნენ, თუმცა ეს დიდი ხნის წინ იყო სათქმელი. ძალიან დიდი მადლობა, რომ ამ ეტაპზე მაინც ითქვა ეს. მე მიმაჩნია, რომ დღეს ასეთი სწორი შეფასებები, ადეკვატური შეფასებები ხელისუფლების, მხოლოდ და მხოლოდ წაადგება როგორც ჩვენს ქვეყანას, ისევე ჩვენ მოკავშირეებს, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს და არა თვალის დახუჭვა ყველა იმ სისაძაგლეზე, რომელსაც დღეს ხელისუფლება აჩადის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.



ნანა კაკაბაძე

***— უნდა ვიმედოვნოთ, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ასე თუ ისე ობიექტური იქნება...***

— აუცილებლად! მათი ობიექტურობა დღეს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობის გარანტიაა. დღეს მათი ობიექტურობა გადაწყვეტს საქართველოში იმას, მოხდება თუ არა სერიოზული ფიზიკური დაპირისპირება ხელისუფლებასა და ხალხს შორის. მხოლოდ და მხოლოდ მათი ობიექტურობა შეძლებს დღეს ამის შეჩერებას.

***— და იმ სისხლის ღვრასაც, რომელზეც ამერიკელი ექსპერტი საუბრობს, ამ შემთხვევაში თავიდან ავიცილებთ?***

— რა თქმა უნდა, ეს საფრთხეები, მხოლოდ ასეთი ძალისხმევით შეიძლება ავიცილოთ თავიდან თუ არა და მართლაც ჩვენ დღეს ვდგავართ სერიოზული კატასტროფის წინაშე და ხანდახან ვფიქრობ, რა არის გამოსავალი? ან საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გამოაცხადონ და თქვან ის, რაც არის, ან ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა გამოუცხადონ ასეთ არჩევნებს ბოიკოტი. სხვა მექანიზმი ამისი არ ჩანს, რომ დღეს ამ ქვეყანაში არ დაიღვაროს სისხლი და არ მივიდეთ კატასტროფამდე. საერთაშორისო ორგანიზაციების ვალდებულებაცაა და მათი ღირსების საკითხიც დღეს, რომ სწორი პოზიცია დააფიქსირონ. მე ვერ ვიხსენებ, ამაზე კრიტიკული პერიოდი საქართველოს თუ ჰქონია, როგორიც დღეს აქვს. დღეს სიმართლის და თვალის დახუჭვა იმ ყველაფერზე არაფრით არ შეიძლება. იმდენად ზედაპირზე დევს ეს ძალადობა ხელისუფლებისა, არანაირი ჩაღრმავება და კვალის ძიება არ არის საჭირო, ყველაფერი ზედაპირზეა და როდესაც ასე თვალსაჩინოა ის პოლიტიკა, რომელსაც დღეს საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს, ამ დროს ყველა ექსპერტისთვის, ყველა დამკვირვებლისთვის, ძალიან მარტივი უნდა იყოს ადეკვატური და სწორი შეფასება. სწორედ ეს ადეკვატური და სწორი შეფასება იქნება ამ ქვეყნისთვის ის გადამრჩენელი ფაქტორი, რომელიც შეაჩერებს ხელისუფლების აგრესიას და საზოგადოებისა და ხელისუფლების დაპირისპირებას.

დღეს ყველამ თავის მოვალეობად უნდა ჩათვალოს, რომ დავანახოთ დასავლეთის ის რეალობა, რა რეალობაშიც ჩვენ 9 წლის განმავლობაში ამ ხელისუფლების ხელში ვიცხოვრეთ. დავანახვოთ ყველა ის უსამართლობა და უკანონობა, რომელიც ამ ქვეყანაში დაკანონდა და რომლის შედეგადაც ჩვენ მივიღეთ ის რეჟიმი, რომელი რეჟიმიც დღეს ბატონობს და საშუალებას არ აძლევს ადამიანს, გააკეთოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევანი. ეს ყველაფერი უნდა დავანახვოთ. დღეს თუ ჩვენ რაიმეში დახმარება გვჭირდება დასავლეთის მხრიდან, ეს არ არის არც წყალი და არც სხვა სახის ჰუმანიტარული დახმარება. დღეს ჩვენ გვჭირდება სამართალი. გვჭირდება სამართლიანი ქვეყანა, სამართლიანი სასამართლო და ამაში უნდა დაგვეხმაროს დღეს დასავლეთი. ეუთომ ამისკენ ნაბიჯი უკვე გადადგა და მე იმედი მაქვს, რომ დანარჩენი სადამკვირვებლო მისიებიც გაბედავენ და იტყვიან იმ სიმართლეს, რომელსაც აქამდე მეტ-ნაკლები სიმწვავით გამოხატავდნენ.

## ფოთთან რუსეთის ფედერაციის დროშით მცურავი გემი დააკავეს

სქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს II სამმართველოს (დასავლეთი) ფოთის საგამოძიებო-ოპერატიული განყოფილების და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შავი ზღვის სამსახურის ფოთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებების შედეგად, ფოთის პორტის მე-9 ნავმისადგომთან, ზღვის დაბინძურების ფაქტზე, (სამეურნეო ფეკალური მასის ზღვაში ჩაღვრა) რუსეთის ფედერაციის დროშით მცურავი გემი დააკავეს. სასაზღვრო პოლიციის ცნობით, აღნიშნული გემის კაპიტნის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, ვიქტორ კირიაკოვის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 58-ე (პრიმა ორი) მუხლის VII ნაწილით. 26 აგვისტოს, ვიქტორ კირიაკოვს, ფოთის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით, დაეკისრა ჯარიმა 65 000 ლარის და გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება 605 ლარის ოდენობით.

მედიანიუსი

# ფიქრია ჩიხრაძე: მილიონი ლარის მისაღებად პარტიების რიგი დადგა“

ნათია ხურცილავა


ფიქრია ჩიხრაძე

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ სპეციალურ პრესკონფერენციაზე იმ მილიონ ლარზე ისაუბრა, რომელიც კანონის მიხედვით ოპოზიციურ პარტიებს ბიუჯეტიდან გამოეყოფათ თუ ისინი 5 პროცენტიან ბარიერს გადალახავენ.

პრესკონფერენციაზე ფიქრია ჩიხრაძემ ასევე გაიხსენა მაშინ სხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერების გამონათქვამები მათი მისამართით, რადგან ისინი დათანხმდნენ აღნიშნული საარჩევნო კოდექსიდან აღნიშნული მუხლის ამოქმედებას და დაფინანსების მიღებას.

– მილიონი ლარის მისაღებად პარტიების რიგი დადგა, – ამის შესახებ „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საარჩევნო კოდექსში მუხლი, რომლის თანახმადაც, 5-პროცენტიან ბარიერგადალახული პარტია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონი ლარის ოდენობის დაფინანსებას მიიღებს, გასულ წელს, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმების შედეგად ჩაიდო.

– თავის დროზე ამ მუხლის გამო, ჩვენმა ოპოზიციონერმა კოლეგებმა „ახალი მემარჯვენეების“ წინააღმდეგ სრულიად უპასუხისმგებლო, ბინძური და ცილისმწამებლური კამპანია აწარმოეს. ეს სწორედ ის ყბადაღებული მილიონი ლარია, რომლის გამოც რიგმა ოპოზიციურმა პარტიებმა „ახალ მემარჯვენეებს“ გასულ წელს ტალახის სროლა აუტეხეს და ნაირ-ნაირი იარლიყები მიაწებეს – „მემარჯვენეები“ მილიონზე გაიყიდნენ“, „ხელისუფლებას მიეყიდნენ“ და ა.შ. დღეს მილიონიან ტრანშს კი ყველა ის პარტია ითხოვს, ვინც თავის დროზე შეთანხმებაში ამ მუხლის ჩადების გამო „მემარჯვენეებს“ უკიჟინებდა და მორალს უკითხავდა. ესენია „ქართული დასი“, „თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს გზა“ და თვით მილიარდების მქონე „ქართული ოცნება“, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

25 აგვისტოს საარჩევნო სუბიექტებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო კამპანიის ფონდის დაფინანსებაზე თანხმობის წერილები წარუდგინეს. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სულ 11 თანხმობის წერილი შევიდა.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, საარჩევნო კამპანიის ფონდის დაფინანსებაზე თანხმობის წერილები შემდეგმა საარჩევნო სუბიექტებმა წარადგინეს: „თავისუფლება ზვიად გამსახურდიას გზას“, „ქართული დასი“, „თავისუფალი საქართველო“, „ახალი მემარჯვენეები“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „ქრიასტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“, ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ და „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“. ცესკო-ს ცნობით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად (მუხლი 56, პუნქტი I), იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტი გადალახავს 5-პროცენტიან ბარიერს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად ღებულობს არა უმეტეს ერთი მილიონი ლარისა.

აღნიშნულ თანხაში შედის სატელევიზიო რეკლამის ხარჯებისთვის მიზნობრივად განსაზღვრული 300,000 ლარი (საარჩევნო სუბიექტი დაფინანსებას საარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯების თაობაზე წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად მიიღებს, საარჩევნო კოდექსის 57-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენის შემდეგ).

# რა ხდება წინასაარჩევნოდ კახეთში

**19-დან 25 აგვისტოს ჩათვლით, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა რეგიონში დააფიქსირა ზეწოლის 7, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის 1, საagitაციო საქმიანობაში ხელის შეშლის 1, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის 1, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების 2, ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის 1 ფაქტი. პოლიციას რეაგირება არ მოუხდენია 4 ფაქტზე, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.**

◆◆◆

## ზეწოლა, ხელშეშლა, ძალადობა, არაადამიანური მოპყრობა

მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელსაც პრემიერთან შეხვედრა სურდა, ძალით გაათრიეს – 19 აგვისტოს, პრემიერ – მინისტრი ვანო მერაბიშვილი დედოფლისწყაროში სამუსიკო სკოლაში, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. მოქალაქეები, რომლებსაც პრემიერისთვის პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სურდათ, მერაბიშვილთან ახლოს არ მიუშვეს. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა, რომლებიც შენობის წინ იდგნენ შეხვედრაზე არ დაუშვეს სააგენტო „ინფო 9“-ის და ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ჟურნალისტებიც. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ვანო მერაბიშვილს პარტია „თავისუფალი საქართველოდან“ დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა თამილა გურაშვილმა კითხვით მიმართა: „ბატონო ვანო, მოგვაქციეთ ყურადღება, რანაირი პრემიერ-მინისტრი ხართ“, რა დროსაც „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტმა შოთიკო კოჭლამაზაშვილმა მას ხელი ჩაავლო და ძალის გამოყენებით გაათრია.

◆◆◆

## ხელშეშლა საagitაციო საქმიანობაში

21 აგვისტოს, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტმა ნათელა ინდაშვილმა, რომლის ოჯახის წევრებიც სახელმწიფო სამსახურებში მუშაობენ, „ქართული ოცნების“ აგიტატორებს სოფელში, გზაზე გავლის და წინასაარჩევნო აგიტაციის გაგრძელების საშუალება არ მისცა. „მოქალაქეს დავუძახეთ, პრობლემებზე უნდოდა განცხადების დაწერა. ამ დროს გამოვარდა ნათელა ინდაშვილი, ჯერ ჩვენს აგიტატორს დაუწყო ჩხუბი, მერე მე შემეხო ხელით. ვიდეო ჩავრთე და ვუღებდი, ხელი ამაფარა ვიდეოზე, მერე ხელი მკრა, ნუ მიღებ ვიდეოსო“, – განაცხადა „ქართული ოცნების“ აქტივისტმა გივი დარჩიაშვილმა. „მე ხელით არ შევხებივარ, ჩვენ გვინდა მიშა. აგიტატორს არა აქვს ვაქირში სიარულის უფლება. ჰკითხეთ ხალხს ვინ უნდათ ერთი“, – განაცხადა ნათელა ინდაშვილმა.

სიღნაღში სააგენტო „ინფო9“-ის ჟურნალისტს მუშაობაში ხელი შეუშალეს – 24 აგვისტოს, სიღნაღში სააგენტო „ინფო9“-ის კორესპონდენტს თინათინ მატინოვს, რომელიც ადვოკატ თენგიზ ბეჟაშვილისგან კომენტარს იწერდა, ფსევდო „ინფო 9“-ის წარმომადგენლებმა ნათია მირიანაშვილმა და დიანა ბაგალიშვილმა მუშაობაში ხელი შეუშალეს. ფსევდო „ინფო 9“-ის წარმომადგენლები და მათთან ერთად მყოფი მამაკაცი, თინათინ მატინოვს თავისუფლად გადაადგილების საშუალებასაც არ აძლევდნენ. პროოპოზიციური სააგენტო „ინფო9“ ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ დაქვემდებარებაშია. ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ მფლობელი შპს „იგრიკაა“, რომლის მესაკუთრეც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძეა. სააგენტო „ინფო9“ ძირითადად „ქართული ოცნების“ აქტივობებს და კოალიციის წარმომადგენლებზე ზეწოლის ფაქტებს აშუქებს.

◆◆◆

## თვალთვალი პოლიციის თანამშრომლების მხრიდან

24 აგვისტოს, „ქართული ოცნებიდან“ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თინა ხიდაშელი სოფელ იორმუღანლოს მაცხოვრებლებს შეხვდა. შეხვედრას „ინფო9.ცომ“-ის გადამღები ჯგუფიც ესწრებოდა. თინა ხიდაშელი მძღოლის ვინაობით დაინტერესდა. ადგილობრივებმა ხიდაშელს უთხრეს, რომ მძღოლი პოლიციის თანამშრომელია. „არსად არ ვმუშაობ, უბრალოდ დავდივარ, ვტაქსაობ და ისე დამყავს ესენი,“ -განუცხადა მძღოლმა ხიდაშელს. „ამ სოფლის მაცხოვრებლებმა იცნეს ეს მანქანა, ეს არის პოლიციის მანქანა, რომელიც მუდმივად დადის სოფელში, ავიწროვებს, პრობლემებს უქმნის ხალხს. ამიტომ, შევეცადეთ რომ გაგვერკვია ეს ახალგაზრდა სად მუშაობს, რით არის დაკავებული. აღმოჩნდა, რომ არ აქვს არც მართვის მოწმობა, არც მანქანის პასპორტი, არც პირადობის მოწმობა. ამ სოფელში, სადაც მუდმივად პოლიცია მოძრაობს, ასე ვერ გაბედავდა სიარულს“, – განაცხადა თინა ხიდაშელმა. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში თინა ხიდაშელის შეხვედრებს ლაგოდეხში შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლები უთვალთვალებდნენ. ისინი შავი ფერის „მერსედესის“ მარკის მანქანით გადაადგილდებოდნენ. ხიდაშელმა მათ ჰკითხა ვინ იყვნენ, რაზედაც უპასუხეს, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იყვნენ. ამის შემდეგ ხიდაშელმა მათ კოალიციის წევრობის დამადასტურებელი მანდატის ჩვენება მოსთხოვა, რაც ვერ წარმოადგინეს. ხიდაშელმა მათ მართვის მოწმობის ჩვენებაც მოსთხოვა, რაზედაც ასევე უარი თქვეს და გიგლა ჭონაშვილად და გიორგი ზაალიშვილად გაეცნენ. კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, პირი, რომელიც თინა ხიდაშელს გიორგი ზაალიშვილად გაეცნო, კუდ-ის კახეთის სამმართველოს თანამშრომელი ზურა გრძელიშვილია.

◆◆◆

## სამრეკლოში უცნობმა პირებმა ქართული ოცნების“ წევრის სახლს და მანქანას ფოტოები გადაუღეს

23 აგვისტოს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში მცხოვრები ნუგზარ სეხნიაშვილი, რომელიც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია, აცხადებს, რომ მასთან სახლში სამი უცნობი პირი მივიდა, რომლებმაც მის სახლს და მანქანას ფოტოები გადაუღეს. „ბოსტანში ვიყავი, საუბარი რომ გავიგე და ამოვედი. მაგიდასთან ისხდნენ, ვითომ რაღაც ქაღალდებს ავსებდნენ. ვკითხე ვინ ხართ მეთქი და მიპასუხეს ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციიდან ვართო, სახელი არ მითხრეს. მერე მანქანას და სახლს სურათები გადაუღეს. რაში გჭირდებათ ესენი, ვინ ხართ მეთქი და ვითომ გვარი და სახელები ჩამაწერინეს, ესენი იყვნენ გიორგი ქავთარაძე, გიორგი ჟღენტი და გოგა შუმაშიკელი. ვკითხე, ყველგან თუ მიდიოდნენ და კი ყველა ოჯახში მივდივართო. დავურეკე პოლიციას და „ინფო9“-ს. როგორც კი ჟურნალისტები მოვიდნენ, გავიდნენ და წავიდნენ. არავითარი დამასტურებული საბუთი არცერთს არ ჰქონდა, ვიღაცეებმა ჩამოგვართვესო, მაგრამ მანქანის ნომრის ასს 550 ჩაწერა მოვასწარი“, – განაცხადა „ქართული ოცნების“ წევრმა ნუგზარ სეხნიაშვილმა.

◆◆◆

## ქართული ოცნების“ აქტივისტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს

თელავის რაიონის სოფელ სანიორეში კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრს შავლეგ აივაზაშვილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. „თელავიდან ჩამოვედი სოფელში. „ქართული ოცნების“ მაისური მეცვა. ამ დროს სოფელში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ვასილ დავითაშვილი მოვიდა აქტივისტებთან ერთად. აქტივისტებმა რომ დაინახეს, „ქართული ოცნების“ მაისური მეცვა, გახდა მომთხოვეს, რაზედაც უარი ვუთხარი. მერე მითხრეს, ამოჭერი მაშინ ეგ წარწერები და ისე ჩაიცვიო. ამის შემდეგ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს, რამდენიმე აქტივისტი ერთდროულად მირტყავდა, ჭკუას ისწავლიო“, – აღნიშნა შავლეგ აივაზაშვილმა. ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად შავლეგ აივაზაშვილი არ დაშავებულა. მას პოლიციისთვის არ მიუმართავს.

ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე – სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში მცხოვრები შალვა სინჯიაშვილი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია, აცხადებს, რომ 21 აგვისტოს, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა მას „ქართული ოცნების“ მაისური იძულებით გახადეს და სახელისუფლებო პარტიის მაისური ჩააცვეს. „სახლში ვიყავი დედაჩემთან, მოვიდა ჩვენი უბნის მდივანი თამარ მირიანაშვილი. მითხრეს, საქმე გვაქვს, წამოდიო. საბჭოსთან მიმიყვანეს. იქ ჩამომსვეს და მითხრეს, ეს რა გაცვიაო, მაიკა მაცვია მეთქი. რატომ გაცვია, გვიღალატეო? „ქართული ოცნების“ მაისური მეცვა. სიღნაღის გამგებელი მოსული არ იყო და ცოტა ხანს მალოდინეს. რომ მოვიდა, მანქანიდან ჩამოვედით, მიმიყვანეს გამგებელთან. რაშია საქმე მეთქი და ეხლა გაიგებო, წრეში მომაქციეს, „ქართული ოცნების“ მაისური გამხადეს და „ნაციონალური მოძრაობის“ მაიკა ჩამაცვეს და ქუდი დამახურეს. თან მითხრეს, შენ გადარჩიო. ვკითხე, რაზე მეთქი და ერთი ხელი არ გაქვს და იმიტომო, თორემ ხელს დაგადებდითო“, – ამბობს შალვა სინჯიაშვილი. სოფელ ანაგის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტმა თამარ მირიანაშვილი შალვა სინჯიაშვილის განცხადებები არ დაადასტურა.

◆◆◆

## ქართული ოცნების“ კოორდინატორის კუთვნილ მაღაზიაში საგადასახადო ინსპექცია შევიდა

21 აგვისტოს, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბეში, „ქართული ოცნების“ კოორდინატორის ალექსანდრე კოჭლამაზაშვილის კუთვნილ მაღაზიაში ინვენტარიზაციის მოტივით საგადასახადო ინსპექცია შევიდა. საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები სოფელში არსებულ სხვა მაღაზიებში შესამოწმებლად არ შესულან. „მაღაზია 4 წელია გვაქვს. ყველანაირად გაფორმებულია, ყველა დოკუმენტი ხელში გვაქვს. აქამდე არანაირი ასეთი შემოწმება არ ყოფილა. ყოველი წლის ბოლოს დეკლარაციებს ვაგზავნით. ამ წელშიც გაკეთებული მაქვს დეკლარაცია, ასე რომ სახელმწიფოს წინაშე არანაირი დავალიანება არ მაქვს და უკანასკნელ თეთრამდე გავასწორეთ თუ რაიმე იყო. ჩემი მეუღლე არის „ქართული ოცნების“ კოორდინატორი და მიზანმიმართულად მხოლოდ ჩვენს მაღაზიაში არიან შესამოწმებლად შემოსულები. მე თვითონ პედაგოგი ვარ. კომისიის წევრი ვარ ოპოზიციის მხრიდან. მე ვფიქრობ, რომ ამას საფუძვლად ზუსტად პოლიტიკური სარჩული უდევს“, – განაცხადა ალექსანდრე კოჭლამაზაშვილის მეუღლემ ნინო ლაზარიაშვილმა. შემოსავლების სამსახურში განმარტეს, რომ მაღაზიაში სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღწერა მიმდინარეობს. „გადასახადის გადამხდელს მუშაობის პროცესში ხელი არ შეეშლება. ჩვენ აღვწერთ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებს და ვიმოქმედებთ კოდექსის შესაბამისად. არანაირი დალუქვა არ მოხდება, ცოტა პროდუქტია და საჭირო არ არის“, – განაცხადეს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურ სამმართველოში.

„ქართული ოცნების“ წევრი ამბობს, რომ 30 დღის განმავლობაში იზოლატორში დაბანის საშუალება არ მისცეს – 22 აგვისტოს, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი გიორგი ნატროშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## პარლამენტის ორი დარბაზის დემონტაჟი განხორციელდა

პარლამენტის ილია ჭავჭავაძისა და პირველი რესპუბლიკის დარბაზების დემონტაჟი განხორციელდა. გავრცელებული ინფორმაციით, დემონტაჟი შაბათ-კვირას ერთ-ერთმა კერძო კომპანიამ მოახდინა. დარბაზების დემონტაჟი „მედიანიუსს“ პარლამენტის პრესსამსახურში დაუდასტურეს.


დიმიტრი ლორთქიფანიძე

საპარლამენტო ფრაქციის – ,,ერთობა სამართლიანობისთვის“ – წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პარლამენტის დარბაზების დემონტაჟს აპროტესტებს. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, განხორციელდა პირველი რესპუბლიკის სახელობისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის დარბაზების ,,ისტორიული ნივთების განადგურება-დემონტაჟი“.

დეპუტატის ინფორმაციით, ამ პროცესში მონაწილეობა პარლამენტის სამეურნეო დეპარტამენტის თანამშრომლებს არ მიუღიათ. სამუშაო ერთ-ერთი კერძო კომპანიის წარმომადგენლებმა შეასრულეს.

,,დარბაზებში ოვალური მაგიდები, ტრიბუნა და პრეზიდიუმი აგლიჯეს და დალეწეს. პირველი რესპუბლიკის დარბაზი ისტორიული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ნიმუში იყო. ის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს და ქვეყანის პოლიტიკურ სათავეში ეროვნული ძალების მოსვლას უკავშირდებოდა. დღეს ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისტორიული მეხსიერების წაშლაა. სწორედ ამას ემსახურება პარლამენტის შენობის ფარული გასხვისება. მაინტერესებს, რა ბედი ელის პარლამენტის ეზოში არსებულ სამლოცველოს და იუნკერების საფლავებს“, – განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

შეგახსენებთ, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი ქუთაისი იქნება.

მედიანიუსი

## პრეზიდენტის მიერ შეწყალებული პატიმრები საპატიმროებს ხვალ დატოვებენ

მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ შეწყალებული პატიმრები სასჯელაღსრულების დაწესებულებებს დღეს 12.00 საათის შემდეგ დატოვებენ. როგორც „მედიანიუსს“ შეწყალების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძემ განუცხადა, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია 131 პირზე გასცა. აქედან 22-მდე პატიმარს რეკომენდაცია სასჯელის მოუხდელი ნაწილის განახევრებაზე მიეცა. შესაწყალებელ პატიმართა სიაში 14 ქალი და ერთი არასრულწლოვანია. სია ხელმოსაწერად პრეზიდენტს უკვე გადაეგზავნა.

თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ადამიანის შეწყალებას მოაწერს ხელს მიხეილ სააკაშვილი და, შესაბამისად, რამდენი დატოვებს საპატიმროს.

მედიანიუსი

## მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობა პარტიის ყოფილ წევრთა ბრალდებებს პასუხობს

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობის წევრები მოძრაობიდან გარიცხული წევრების განცხადებას ეხმაურებიან და აცხადებენ, რომ ამ ადამიანებმა მიითვისეს შიდა ქართლის რეგიონში ჩატარებული კარდაკარისათვის გადარიცხული თანხა – 3900 ლარი.

როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე მოძრაობის პოლიტიკურმა მდივანმა კონსტანტინე ფორჩხიძემ განაცხადა, ლელა ჩახვაძე და ნუკრი ბიბილაშვილი პარტიიდან ხუთი თვის წინ გაირიცხნენ.

მისი განმარტებით, ჩახვაძემ და ბიბილაშვილმა პარტიიდან მიითვისეს შიდა ქართლის კოორდინატორებისთვის გადასარიცხი თანხის – 5000 ლარის ნაწილი და სწორედ ამიტომ მოხდა მათი პარტიიდან გარიცხვა.

„მინდა მოვუწოდო იმ პიროვნებებს, ვინც დგანან ნუკრი ბიბილაშვილისა და ლელა ჩახვაძის უკან, თავი დაანებონ შავი პიარის აგორებას მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ მისამართით“, – განაცხადა ფორჩხიძემ და დასძინა, რომ თუ ეს ადამიანები მითვისებულ თანხას სამი დღის ვადაში არ დააბრუნებენ, მოძრაობა გამოძიების დაწყების მიზნით პროკურატურას მიმართავს.

პარტიის გამგეობის წევრის თამარ ჯულელი უარყოფს ინფორმაციას პარტიის ლიდერის, სერგო ჯავახიძის ფინანსური დავალიანების შესახებ და მოუწოდებს პარტიის წევრებს, არ წამოეგონ პროვოკაციაზე და იდგნენ პარტიის გვერდით, პარტია კი მათ კუთვნილ თანხებს აუცილებლად აუნაზღაურებს.

შეგახსენებთ, რომ დღეს მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ყოფილმა წევრებმა ლელა ჩახვაძემ და ნუკრი ბიბილაშვილმა მოძრაობის თავმჯდომარე სერგო ჯავახიძე ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულეს და მისი პარტიიდან წასვლა მოითხოვეს. მათ დიდძალი თანხების მითვისების ბრალდებით, ჯავახიძის და გამგეობის წევრების მიმართ პროკურატურაში საქმის აღძვრა მოითხოვეს.

მედიანიუსი

## ჟინვალის რწმუნებულის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციას ჩაბარდა

ჟინვალის რწმუნებულის ბესიკ ბუზალაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ზურაბ შოთაძე ბადაგაძე პოლიციაში საკუთარი ნებით გამოცხადდა.

როგორც „მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა პრესსამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განუცხადა, მისი ინფორმაციით ბადაგაძე მოკლულ ბუზალაძესთან წლების განმავლობაში მეგობრობდა. სუფრაზე მათ შორის შელაპარაკება მოხდა, რაც მკვლელობის მიზეზი გახდა. ბადაგაძემ გარდაცვლილი ბუზალაძე „ნაგანის“ სისტემის იარაღით მოკლა, რომელიც რეგისტრირებული არ ჰქონდა.

ბადაგაძის თქმით, მკვლელობის იარაღი მან მდინარეში გადააგდო. საქმე სისხლის სამართლის 108– ე, განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული. მკვლელობის მიზეზი ახლობლებისთვის უცნობია.

შეგახსენებთ, რომ ჟინვალის რწმუნებული, 42 წლის ბესიკ ბუზალაძე დუშეთის რაიონის დაბა ჟინვალის ტყეში, წუხელ მოკლული იპოვეს. გარდაცვლილს მეუღლე და ორი ქალიშვილი დარჩა.

გამოძიებას შს მცხეთა – მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

მედიანიუსი

# არჩევნებში მონაწილე პარტიებმა ფილტრში უნდა გაიარონ

ნათია ხურცილავა

წინასაარჩევნოდ, როგორც ცნობილი გახდა, „თავისუფლების ქარტიის“, იგივე „ლუსტრაციის შესახებ“ კანონის ამოქმედება იგეგმება.

არჩევნების წინ შესაძლოა, კანონით გათვალისწინებული სპეციალური სახელმწიფო კომისია ჩამოყალიბდეს, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს სსრკ-ის სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლების, ყოფილი სსრკ-ის და „კომუნისტური პარტიის“ ცენტრალური კომიტეტების წევრების, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნების, ლენინური კომკავშირის ცეკას ბიუროს წევრთა მონაცემების დადგენა და მისი რეესტრი წარმოადგენს.

„თავისუფლების ქარტიით“ განსაზღვრული გარკვეული მუხლები და თავად კომისიის საქმიანობა გარკვეულწილად არჩევნებსაც ეხება.

კანონის ავტორისთვის, დეპუტატ გია თორთლაძისთვის არაოფიციალურ დონეზე, ერთი თვის წინ კერძო საუბრებში ცნობილი გახდა, რომ კომისია სავარაუდოდ, საარჩევნოდ შეიქმნება.

„თავისუფლების ქარტია“, რომელიც პარლამენტმა თორთლაძის ინიციატივით გასული წლის გაზაფხულზე მიიღო, იმ ადამიანებს, რომლებიც თანამშრომლობდნენ „კაგებესთან“, იყვნენ კომუნისტური პარტიის, ლენინური კომკავშირის მაღალჩინოსნები – კომკავშირის ცეკას ბიუროს წევრები, რაიკომის და ცეკას მდივნები, აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობების დაკავებას უკრძალავს.

ქარტიაში გაწერილია სახელმწიფო თანამდებობები, რომელსაც ზემოაღნიშნული პირები ვერასდროს დაიკავებენ. მათი მონაცემების რეესტრის უზრუნველსაყოფად კი, სპეციალური სახელმწიფო კომისია შეიქმნება, რომლის ფორმირებაც კანონის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში და მის ბაზაზე ხდება. კომისიაში თითო წევრის წარდგენის უფლება ყველა საპარლამენტო ფრაქციას გააჩნია. რაც შეეხება „თავისუფლების ქარტიის“ საარჩევნო ნაწილს, სსრკ-ის სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლებს, ცეკას ყოფილ მაღალჩინოსნებს, თუ კომკავშირის ბიუროს ყოფილ წარმომადგენლებს არჩევნებში მონაწილეობას კანონი არ უკრძალავს, თუმცა ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია, ქარტიის საფუძველზე ფორმირებულ კომისიას არჩევნებში მონაწილე სუბიექტთა მონაცემების შემოწმების მიზნით, საარჩევნო სიები გადასცეს. თუკი კომისია არჩევნებში მონაწილე ამა თუ იმ პირის სსრკ-ის სპეცსამსახურებთან კავშირს ან მის აღნიშნულ თანამდებობებზე ყოფნას დაადგენს, ამის შემდეგ საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია, არჩევნებში მონაწილე კანდიდატის შესაბამისი მონაცემები გამოაქვეყნოს.

**ამ საკითხზე „ახალი თაობა“ გია თორთლაძეს ესაუბრა:**

– ეს კანონპროექტი მიღებულია პარლამენტის მიერ და უკვე კანონის თანახმად აუცილებლად უნდა შექმნილიყო შინაგან საქმეთა სამინისტროში კომისია, სადაც უნდა შესულიყო პარლამენტის ყველა ფრაქციიდან თითოთითო წევრი. შინაგან საქმეთა სამინისტროში იმიტომ, რომ იქ არის არქივი განთავსებული. ამ კომისიის მიზანი, (რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნება, როგორც ზეპირი სიტყვით მე მივიღე პასუხი ერთი თვის წინ) არ ვიცი შეიქმნება თუ არა, მაგრამ უნდა შეიქმნას ვიმეორებ მისი მოვალეობა უნდა იყოს ცესკოში შესული სიების გადამოწმება. ცესკო ვალდებულია აღნიშნული სიები კომისიას გადაუგზავნოს. კომისიამ უნდა დაათვალიეროს ეს სიები არქივის მიხედვით და ნახოს, იყვნენ თუ არა ეს ადამიანები ყოფილი საბჭოთა კავშირის, „კაკებეს“ ან „სუკის“ აგენტები ან თანამშრომლები. ან იყვნენ თუ არა როდისმე ეს ადამიანები „კომუნისტური“ პარტიისა და კომკავშირის მაღალჩინოსნები. ამ ადამიანებთან დაკავშირებით ცესკომ კომისიისგან ინფორმაცია უნდა მიიღოს. ამის შემდეგ ცესკო ვალდებულია ამომრჩეველს მიაწოდოს სრული ინფორმაცია. არავითარი აკრძალვა არჩევნების დროს არ არის. აკრძალვა არის მხოლოდ თანამდებობრივი. ის ადამიანები ვერ დაინიშნებიან ჩამოთვლილ თანამდებობებზე, მაგრამ მათ არჩევნებზე შეზღუდვა არ ექნებათ, რადგან არჩევნები დემოკრატიული პროცესია და ხალხი ირჩევს იმას, ვისაც უნდა. საუბარია ცესკოს ვალდებულებაზე, რომ მან ამომრჩეველს მიაწოდოს მხოლოდ ინფორმაცია, მაგალითად, ესა თუ ის მაჟორიტარობის კანდიდატი ან პარტიული სიის ესა და ეს ნომერი იყო „კომუნისტური“ პარტიის წევრი ან კომკავშირის მაღალჩინოსანი ან იყო ე.წ კაკებეს აგენტი ან თანამშრომელი. ეს არის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული, ამიტომ ვამბობ, რომ კომისიაა აუცილებლად შესაქმნელი.

***– ვინ უნდა შევიდეს ამ კომისიაში?***

– კანონში წერია, რომ კომისია შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე უნდა შეიქმნას. ვიმეორებ, რადგან იქ არის არქივი და არქივის თანამშრომლები უნდა მონაწილეობდნენ ამ სამუშაოებში, რადგან სხვანაირად არქივში მუშაობა შეუძლებელია. შეიძლება შინა-


გია თორთლაძე

გან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლებიც იყვნენ, მაგრამ ასევე გარკვევით წერია კანონში, რომ პარლამენტის ყველა ფრაქციის ერთი წარმომადგენელიც უნდა შევიდეს ამ კომისიაში.

***– რატომ გახდა ეს საკითხი ახლა აქტუალური?***

– მე ჩემს დამოკიდებულებას გეტყვით, დღეს პოლიტიკაში „კომუნისტური პარტიისა“ და „კომკავშირის“ ყოფილი მაღალჩინოსნები რომ არიან, ადვილი გამოსაცნობია, მაგრამ რაც შეეხება აგენტებსა და „კაკებეს“ მაღალჩინოსნებს, თანამშრომლებს იმ ხალხის შესახებ ინფორმაცია ღია არ არის. ამიტომ არის საჭირო კომისიის მუშაობა. საქართველოში ძალიან გააქტიურებულია რუსეთის სპეცსამსახურები. რუსეთიდან ფინანსდებიან პარტიები. ჩამოთვლაც შემიძლია. რუსეთის მიმართ არსებობს ლოიალური დამოკიდებულება და პრორუსული განწყობები. რუსული ფული იქნება გამოყენებული. ამიტომ ვამბობ, რომ საჭიროა დოკუმენტალურად შეისწავლოს ეს ყველაფერი კომისიამ და ამის შესახებ საზოგადოებამ, ამომრჩეველმა გაიგოს. ეს არის კანონით გათვალისწინებული და არა ჩემი ახირება. კანონი მიღებულია, კანონი ძალაშია.

***– ბატონო გია, წინასაარჩევნო პერიოდი ისედაც დაძაბულია, წინ მთელი პროცესია და ამ კომისიის შექმნა კიდევ უფრო არ გაართულებს მდგომარეობას?***

– რომელ მდგომარეობას გაართულებს? იმათთვის გართულდება მდგომარეობა, ვინც იყვნენ დამსმენები, ვინც იყვნენ „ჩეკისტები“, ჯაშუშები და ვინც საბჭოთა კავშირის „კაკებეზე“ მუშაობდნენ და მათი იდეოლოგები იყვნენ. მათთვის გართულდება. ისე რანაირად გაართულებს. ვიმეორებ, ეს კანონი მიღებულია და კანონი თხოულობს, რომ ასეთი რამ მოხდეს. მაშინ იყვნენ ჩეკისტები და მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა „კაკებეშნიკებმა“, ისე, რომ საზოგადოებამ არაფერი არ იცოდეს. მე ამის მომხრე არ ვარ. ამიტომ შევქმენი ეს კანონპროექტი და მერე პარლამენტმა მხარი დაუჭირა. ის არ ართულებს, როდესაც გეუბნებიან, პარტია კვალიფიციური სუბიექტი არ არის და 30 ათას ხელმოწერას გთხოვენ. მხოლოდ ამ კომისიის შექმნა არის სირთულე? ეს კომისია არის ერთგვარი ფილტრი და საზოგადოების ინფორმირება. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვის ირჩევს. ეს კი არ დაძაბავს სიტუაციას, პირიქით, უფრო ნათელს გახდის საზოგადოებისთვის, ამომრჩევლისთვის, თუ ვის ირჩევს. არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, ამ ხალხის ლუსტრირება უნდა მოხდეს და საზოგადოებამ უნდა გაიგოს, ვინ იყვნენ ისინი და შემდგომში გადაწყვიტოს, მისცეს თუ არა მას არჩევნებში ხმა.

***– არჩევნებში მონაწილეობას იღებთ?***

– არ ვღებულობ მონაწილეობას. „საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ“ ტაიმაუტი აიღო შემდეგ არჩევნებამდე.

***– რით არის ეს განპირობებული?***

– იმით, რომ ჩვენ არ ვართ კვალიფიციური სუბიექტი. არანაირი დაფინანსება არ გვაქვს. არც საეთერო დრო არ გვაქვს.

***– არ აპირებთ თანამშრომლობას რომელიმე პარტიასთან ან ხელისუფლებასთან, „ნაციონალურ მოძრაობასთან“?***

– როგორ უნდა ვითანამშრომლო, ხელისუფლებასთან მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ვთანამშრომლობდი: დასავლური ორიენტაცია, ევროკავშირი, ნატო და რუსეთ–საქართველოს ომი, რომელზეც ღიად ვამბობდი, რომ ეს იყო რუსეთის მიერ ინსპირირებული ომი. რადგან ყველაზე მეტად განვიცდი საქართველოს ოკუპაციას, შევქმენი არასამთავრობო ორგანიზაცია. ჩვენი სლოგანია „საქართველო ოკუპანტების გარეშე“.

***– რომელიმე ოპოზიციურ პარტიასთან თუ გიცდიათ კონსულტაცია?***

– არ მიცდია. მე არავის არაფერს არ ვთავაზობ. თვითონ რადგან არ შემომთავაზეს, ეს იმას ნიშნავს, როდესაც ხელში არაფერ არ გაქვს – არც ოფისი და არც ფინანსები, ასეთ პირობებში ჩემს თავს არავის შევთავაზებ.

***– ევერესტზე მინდა გკითხოთ...***

– მესამედ ავედი ევერესტზე, სადაც საქართველოს დროშა ავიტანე წარწერით „საქართველო ოკუპანტების გარეშე.“ ვიდეო მასალა გადავიღე და ამჟამად ფილმზე ვმუშაობ, რომელიც უახლოეს მომავალში გამოვა. ამ აქციას პოლიტიკური და სპორტული დატვირთვაც ჰქონდა. 52 წლის ასაკში მესამედ ავედი ევერესტზე.

# თინა ხიდაშელი: წინასაარჩევნოდ თავისუფლების ქარტიის“ ამოქმედება კუდიანებზე ნადირობა“ იქნება“

გერა მამულაშვილი

წინასაარჩევნოდ შესაძლოა, „თავისუფლების ქარტიის“ ერთ-ერთი მუხლი ამოქმედდეს. პარლამენტარ გია თორთლაძის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა შეიქმნას კანონით გათვალისწინებული სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელსაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილე სუბიექტების პარტიული სიები უნდა გადაუგზავნოს.

„მოლაპარაკება გვქონდა დაახლოებით ერთი თვის წინ, აპირებენ ამ კომისიის შექმნას. წესით, ცესკო-ში სიების შეტანა რომ დასრულდება, კომისია უკვე უნდა არსებობდეს. ცესკო-მ სიები უნდა გადაუგზავნოს კომისიას. თუ აღმოჩნდება სიაში ისეთი ხალხი, დავუშვათ, აგენტი ან კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსანი, ცესკო ვალდებული იქნება, შეატყობინოს ამომრჩეველს“, – განუცხადა თორთლაძემ „ინტერპრესნიუსს“.

როგორც გია თორთლაძე აცხადებს, „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული სპეციალური სახელმწიფო კომისიის შექმნა და მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულების განხორციელება საარჩევნო გარემოს გააუმჯობესებს:

„კანონი კავშირშია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან, რადგან მაშინდელი კომუნისტური პარტიის მაღალჩისნოსნები, როგორიც იყო მაგალითად, ვაჟა ლორთქიფანიძე თუ სხვები, პირდაპირ მუშაობდნენ რუსეთზე. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის მხრიდან ასეთი ადამიანების საქართველოს ინტერესების საზიანოდ გამოყენება არ მოხდეს.


თინა ხიდაშელი

ამიტომ არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, ამ ხალხის ლუსტირირება უნდა მოხდეს – საზოგადოებამ უნდა გაიგოს, ვინ იყვნენ ისინი და შემდგომში გადაწყვიტოს, მისცეს თუ არა მას არჩევნებში ხმა“.

„თავისუფლების ქარტია“ პარლამენტმა, თორთლაძის ინიციატივით, 2011 წლის მაისში მიიღო. ქარტიის მიხედვით, კანონის მიზანია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთა, ქვეყანაში ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება, პრევენციული ღონისძიებების გატარება საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიის საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ; აგრეთვე, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების და ა.შ., ასევე საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიისა და პროპაგანდის სხვა მატარებელი საშუალებების აღკვეთა.

კომუნისტური პარტიის ყოფილ მაღალჩინოსნებს „თავისუფლების ქარტია“ არჩევნებში მონაწილეობას არ უკრძალავს, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციას ავალდებულებს, არჩევნებში მონაწილე კანდიდატის შესაბამისი მონაცემები გამოაქვეყნოს.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე პარტიულ სიებთან დაკავშირებით წინასაარჩევნოდ „თავისუფლების ქარტიის“ ამოქმედების არ ელოდება. როგორც ვეფხვაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, პარტიულ სიებთან დაკავშირებით „თავისუფლების ქარტიის“ ამოქმედების მიმართ თავიდანვე სკეპტიკურად იყო განწყობილი, რადგან სპეციალურმა კომისიამ პიროვნების შესახებ ინფორმაცია უშიშროების არქივების მეშვეობით უნდა დაადგინოს. საქართველოში კი ეს არქივები აღარ არსებობს და ამის გაკეთება ერთ თვეში, საპარლამენტო არჩევნებამდე ძალიან რთული იქნება:

„თავის დროზე, პარლამენტის ერთმა წევრმა მეორეზე თქვა, რომ „კაგებე“-ს აგენტია. მეორე გაიქცა და უშიშროებაში განცხადება შეიტანა და პასუხად მიიღო, რომ ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ აქვთ. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოდან არქივების დიდი ნაწილი რუსეთში გაიტანეს. არ ვიცი, ვის დასჭირდა ეს წინასაარჩევნოდ. მე პარტიულ სიაში აგენტები არ მყავს“.

პარტიულ სიებთან დაკავშირებით წინასაარჩევნოდ „თავისუფლების ქარტიის“ ამოქმედება „კუდიანებზე ნადირობა“ იქნება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, თინა ხიდაშელმა განუცხადა. ხიდაშელი სპეციალური კომისიის მიერ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების პარტიული სიების გადამოწმებას აბსურდად, თუმცა აცხადებს, რომ პირადად ამაში პრობლემას ვერ ხედავს.

მისივე თქმით, სპეციალური კომისიის მიმართ ნდობა არ არსებობს, რადგან უშიშროების არქივებში ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია.

„თავად სახელმწიფო აცხადებს, რომ არქივების ნაწილი განადგურებულია. ეს თავისთავად სუბიექტურ, ცალმხრივ მიდგომას იძლევა და დისკრიმინაციის რისკის მატარებელია. ეს იქნება წინასაარჩევნოდ „კუდიანებზე ნადირობა“ – ზუსტად ისევე, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოქმედებს: დამოკიდებულება არის ცალმხრივი, გადასინჯვის მეთოდი – გაუგებარი, წესები – ბუნდოვანი. იქნება ტალახის სროლა, თან ისე, რომ ამაზე არავინ პასუხისმგებელი არ იქნება“, – დასძინა ხიდაშელმა.

# ბაქრაძე ოპოზიციაში გადავა?

**თამარ ნინიძე**

ქართველი ექსპერტები და ნაწილობრივ პოლიტიკოსებიც ორი ფიგურის – სააკაშვილისა და მერაბიშვილის პოლიტიკურ მომავალზე მსჯელობენ. ერთი ვერსიით, სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელს მოირგებს, მერაბიშვილს კი ნაცმოძრაობა უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრად აირჩევს, მეორე ვერსიით, 2013 წლის შემდეგ ანუ ორი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, სააკაშვილი პოლიტიკიდან წასვლასა და მემუარების წერას არ შეუდგება, არც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში დასაქმდება, არც ამერიკის ან ევროპის რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში წაიკითხავს ლექციების კურსს თემაზე: „როგორ ავაშენე დემოკრატია პოსტსაბჭოურ საქართველოში“, ან „როგორ დავამარცხე კორუფცია“. სააკაშვილი არსად წავა და ქვეყნის პირველ თანამდებობას დაიკავებს, 2013 წლიდან კი ეს არის პრემიერ-მინისტრის პოსტი, ყველაზე გავლენიანი თანამდებობა საქართველოში.



ზოგიერთი პოლიტიკური ექსპერტი სააკაშვილის პატიოსნებაში ძლიერ დარწმუნებულია და მიაჩნია, რომ მიხეილი ისეთი თავმდაბალი და წესიერი კაცია, რომ პუტინ-მედვედევის როქის დატრიალებას მოერიდება, იმიჯი რომ არ შეელახოს და პრემიერ-მინისტრად თავს არ წარადგენს. ყველაზე მიმზიდველი მისთვის პარლამენტის სპიკერობა იქნება. შეიძლება ეს ვარაუდი გამართლდეს, რადგან მერაბიშვილის ორატორულ მიდრეკილებებს და საუბრის სტილს თუ გავითვალისწინებთ, მისთვის პარლამენტის თავმჯდომარეობა რთული იქნება, თავის გართმევა იმ პოსტისთვის, სადაც მუდმივად უნდა ისაუბრო და მტერსა და მოყვარეს შენი ორატორული ტალანტები აჩვენო, მერაბიშვილისთვის სწორედ რომ მძიმე გამოწვევაა. პრემიერ-მინისტრი კი საქმიანი კაცი უნდა იყოს, ნაკლები ილაპარაკოს, მეტი საქმე აკეთოს, რათა მეტი სარგებელი მოუტანოს ხალხს თუ არა, საკუთარ გარემოცვას მაინც. ამ ორი საკვანძო პერსონის მომავალი პოლიტიკური კარიერა ასე თუ ისე გარკვეულია, აი, რა პერსპექტივები ულიმის დავით ბაქრაძეს, ეს არის საინტერესო. შეიძლება საზოგადოების დიდი ნაწილისთვის პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის შემდგომი ბედი უინტერესოა, მაგრამ მაინც ის დღეს ქვეყნის მმართველ სამეულშია, თანაც ახალგაზრდაა და როგორც იტყვიან, ყველაფერი წინ აქვს. რას ფიქრობს სააკაშვილი თავისი ერთგული თანაგუნდელის კარიერულ პერსპექტივაზე, ან საერთოდ თუ ფიქრობს ბაქრაძეზე, ვერაფერს ვიტყვი. ამ ბოლო დროს ხშირად მხოლოდ იმაზე საუბრობენ, რომ ბაქრაძე შეფიქრიანებული და სევდიანია. თუ ნაცმოძრაობას საკუთარ პოლიტიკურ დაფაზე მერაბიშვილის ბედიც გადაწყვეტილი აქვს და სააკაშვილიც გარანტირებულად რჩება ხელისუფლების მაღალ პოსტზე, ბაქრაძის საკითხიც უნდა გადაწყდეს, ყოველ შემთხვევაში, ბაქრაძეს უნდა ულირდეს ამ გუნდში დარჩენა და თანამდებობისთვის ბრძოლა. ფაქტია, რომ პარლამენტის თავმჯდომარეობა ერთ-ერთი დიდი პოსტია სახელმწიფოში, ამაზე დიდი პრეზიდენტობაა მხოლოდ, მაგრამ 2013 წლის შემდეგ საპრეზიდენტო ფუნქციები საპრემიეროსთან შედარებით ბევრად უფრო მცირეა, პრეზიდენტის თანამდებობა უფრო სიმბოლურია, მას წარმომადგენლობითი ფუნქციები აქვს, მთავრობის მუშაობის პროცესში პრეზიდენტს ჩარევის უფლება და აქტიური განკარგულებების გაცემის საშუალება ისე არ ექნება, როგორც ამჟამად აქვს. იმ შემთხვევაში, თუ მერაბიშვილი, სააკაშვილი და ადეიშვილი მოილაპარაკებენ ბაქრაძის მომავალზე, მას შეიძლება პრეზიდენტობა შესთავაზონ. მოუნდება თუ არა მარიონეტის როლის შესრულება ბაქრაძეს, ეს მართლაც საინტერესოა. ახალგაზრდა კაცისთვის პრეზიდენტის ეს პოსტი ფაქტობრივად მკვდარი თანამდებობაა, არც არაფერს ეკითხებიან და არც არაფრის გადამწყვეტია. მაქსიმუმ, შეიძლება დათანხმდეს ოთხი წლით ამ პოსტზე ყოფნას, თუ სამომავლოდ მას უფრო პერსპექტიულ ადგილს შესთავაზებენ.

ბაქრაძე პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ვერც ჟვანიას დარი იყო და ვერც ბურჯანაძის. მას ულიმღამო სპიკერად თვლიან ოპოზიციაშიც და საზოგადოებაშიც. არც ის ქარიზმა აქვს, როგორიც ჟვანიას ჰქონდა, არც იმდენად იყო დახელოვნებული ორატორობაში, როგორც მისი წინამორბედები. ჟვანია დამოუკიდებელი ფიგურა იყო, ის მართავდა პროცესებს და არა პირიქით, მას მართავდნენ. ბაქრაძე ასეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, მას არ შეუძლია გავლენის მოხდენა არც პრემიერ-მინისტრზე, არც რომელიმე სხვა მინისტრზე, პრეზიდენტზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ის პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს მშვიდია, მაგრამ ამბობს იმას, რასაც მისგან ელოდებიან. ის ორიგინალობით არ გამოირჩევა, როგორც, მაგალითად, ჟვანია. ჟვანიას შეეძლო მთელი დარბაზის ემოცია ემართა, ბაქრაძე ასეთი რამისგან შორს არის. მისი კარიერული წინსვლა ბურჯანაძემ უზრუნველყო, მაგრამ როცა ბურჯანაძე ოპოზიციაში გადავიდა, ბაქრაძე მას არ გაჰყვა და ბობოქარ ოპოზიციურ მოღვაწეობას მშვიდი სტაბილური ხელისუფალის მდგომარეობა არჩია. დღეს ის ნაციონალების პირველ ნომრად არის დასახელებული, ნაციონალები ოცნებობენ, რომ უმრავლესობით მოვლენ და ბაქრაძე კიდევ ერთი წელი, საპრეზიდენტო არჩევნებამდე სპიკერად დარჩება. ბაქრაძის მდგომარეობაში ყოფნას არავის ვუსურვებდი. შეიძლება ის ვარაუდობდა, რომ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ნაციონალური უმრავლესობა მას ისევ პარლამენტის თავმჯდომარეობას შესთავაზებდა, სავარაუდოდ, ეს ასე არ იქნება. ამიტომ არის ბაქრაძე რთული დილემის წინაშე – დარჩეს ნაცმოძრაობაში თუნდაც პირველ ნომრად და სიმბოლური და ბუტაფორიული პოსტი მიიღოს თუ ოპოზიციაში ხმაურიანად გადავიდეს და ავტორიტეტი და იმიჯი შეინარჩუნოს. ყოველ შემთხვევაში, ბაქრაძე დღესვე რომ წავიდეს ოპოზიციაში, უფრო მეტ პატივისცემას მოიპოვებს, ვიდრე ახლა გააჩნია.

სხვათა შორის, ბაქრაძეს შეიძლება სააკაშვილისგან მოხვდეს იმის გამო, რომ ცაგერში ეკლესიაში წირვის დროს მან ივანიშვილს ხელი ჩამოართვა. თუმცა ეს ივანიშვილის ინიციატივით მოხდა და აქ ბაქრაძეს დანაშაული არ მიუძღვის.

### საქართველოში საწვავის მაღალ ფასს დავით კეზერაშვილი ადგენს

უფლებადამცველ დაჩი ცაგურიას განცხადებით, საქართველოში საწვავის მაღალ ფასებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ადგენს.



დაჩი ცაგურია

ცაგურიამ ეს განცხადება კომპანია „გალფის“ ბენზინგასამართ სადგურთან გამართულ აქცია-ბრიფინგზე გააკეთა. მან საწვავის ფასის ზრდა თანამოაზრეებთან ერთად გააპროტესტა.

„ძირითადი კომპანიები ბენზინს ერთსა და იმავე ფასად ყიდიან. ეს კომპანიები ფასის კორექტირებასაც კი ერთდროულად ახდენენ. ეს არის უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ არიან გარიგებაში, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. ჩვენ ვაპროტესტებთ, რომ ამ საქმეში ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა უეცრად დიდი ფული იშოვა, მას ეს თავის უნარებით არ მიუღწევია. მისი დამსახურება ხელისუფლების ერთგულებაა“, – განაცხადა დაჩი ცაგურიამ. მისი მოსაზრებით, ბენზინის ფასი საქართველოში არსებულზე 70 თეთრით ნაკლები უნდა იყოს.

**მედიანიუსი**

### საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი კვლავ თურქეთია

2012 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი კვლავ თურქეთია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, თურქეთის წილმა მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 880 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 710 მილიონით, ხოლო მესამეზე უკრაინა 413 მილიონი აშშ დოლარით. მომდევნო პოზიციებზე არიან: გერმანია, ჩინეთი, რუსეთი, აშშ, ბულგარეთი, იაპონია და იტალია.

სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ მსუბუქმა

ავტომობილებმა დაიკავა და 319 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთელი ექსპორტის 24 პროცენტია. მეორე ადგილზე გასული ფეროშენადნობების ექსპორტი უდრიდა 153 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში -11 პროცენტს. მესამე ადგილზე კვლავ აზოტოვანი სასუქების ჯგუფი გამოვლინდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 72 მილიონი აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 5 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2012 წლის იანვარ-ივლისში კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები რჩება, რომლის იმპორტმა 518 მილიონი აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 12 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იყო მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 388 მილიონი აშშ დოლარით, რაც იმპორტის 9 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადების ჯგუფი დარჩა 152 მილიონი აშშ დოლარით, რაც იმპორტის 4 პროცენტია.

**მედიანიუსი**

# რა ხდება წინასაარჩევნოდ კახეთში

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ნატროშვილს გურჯაანის გამგეობის თანამშრომლის მარინე ჩითინაშვილის შეურაცხყოფის გამო 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მან ეს სასჯელი სრულად მოიხადა. ნატროშვილი ამბობს, რომ 30 დღის განმავლობაში იზოლატორში დაბანის საშუალება არ ჰქონია. „დროებითი მოთავსების იზოლატორში არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ 30 დღის განმავლობაში აბანოს საერთოდ არ გამაკარეს და საკანში მარტო ვიყავი. საკვები მეტ-ნაკლებად შემოდიოდა, მაგრამ როგორც გარეთ მითხრეს, რომ გამოვედი, მაგდენი რამე მანდვილად არ შემოსულა“, – განაცხადა „ქართული ოცნების აქტივისტმა“ გიორგი ნატროშვილმა. პოლიციამ „ქართული ოცნების“ წევრი გიორგი ნატროშვილი 22 ივლისს, მას შემდეგ დააკავა, რაც საინფორმაციო საშუალებებით ვაჩნაძიანში მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა გავრცელდა. სოფელ ვაჩნაძიანში „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი იმყოფებოდა, რომელიც სტიქიით დაზარალებულებს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ინციდენტი მოხდა ივანიშვილის მომხრეებსა და გურჯაანის გამგეობის თანამშრომელს მარინე ჩითინაშვილს შორის. მას შემდეგ, რაც ჩითინაშვილმა ივანიშვილს „ნაბიჭვარი“ უწოდა, „ქართული ოცნების“ წევრმა გიორგი ნატროშვილმა მას სახეში ხელი ჩაარტყა. ნატროშვილი ადმინისტრაციულ პატიმრობას თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში იხდიდა.

◆ ◆ ◆

### ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება

„ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბი სოფელ ანაგის გამგეობის შენობაში – სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ანაგის ტერიტორიული ორგანოს შენობაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბი ფუნქციონირებს. „მიშას ხალხი ვართ და ძირს „ქართული ოცნება“, – განაცხადა ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტმა თამარ მირიანაშვილმა. შტაბის წარმომადგენელმა ეკა თანდაშვილმაც დაადასტურა, რომ შენობაში მმართველი პარტიის საარჩევნო შტაბია განთავსებული. კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან „ნაციონალურ მოძრაობას“ საარჩევნო შტაბისთვის ფართის დაქირავების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებული არ აქვს. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ბოქოლიშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში უარყო, რომ ანაგის ტერიტორიული ორგანოს შენობაში „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბია განთავსებული. „არ არსებობს, არავითარ შემთხვევაში. ტერიტორიული ორგანოს შენობაში არავითარი შტაბი არ ფუნქციონირებს“, – განაცხადა ბოქოლიშვილმა.

◆ ◆ ◆

### ლევან ბეჟაშვილი დახმარებას არიგებს

დაზუსტებული ინფორმაციით, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი 1 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ კენჭს სიღნაღის რაიონში იყრის. ლევან ბეჟაშვილი კახეთში პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად 25 ივლისს დაინიშნა. მას შემდეგ ლევან ბეჟაშვილი შეხვედრებს სტიქიით დაზარალებულ სოფლებში მართავს და რეგიონში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის სტატუსით დახმარებების გაცემის პროცესს ხელმძღვანელობს. სტიქიით დაზარალებულები განცხადებებს სწორედ მის სახელზე წერენ. გარდა ამისა, ბეჟაშვილმა არაერთი შეხვედრა გამართა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებთან ერთად სიღნაღის რაიონის სოფლებშიც. საარჩევნო საკითხების სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ლევან ბეჟაშვილი ადმინისტრაციულ რესურსებს წინასაარჩევნო კამპანიისთვის იყენებს. მათივე თქმით, პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის სტატუსით ის თითქმის ყოველდღიურად ჩანს სატელევიზიო გადაცემებში, შეხვედრებს მართავს სოფლებში, პრობლემების მოგვარებას პირდება ხალხს და დავალებებს აძლევს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამასთან, კახეთის საინფორმაციო ცენტრის დაკვირვებით, ბეჟაშვილი წყვეტს ისეთ საკითხებსაც, რომელიც გუბერნატორის და მისი ადმინისტრაციის ფუნქციებში შედის

◆ ◆ ◆

### ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა

დახმარებას იმ ოჯახებსაც აძლევენ, ვინც სტიქიის შედეგად არ დაზარალებულან – კახეთში, სტიქიით დაზარალებულ სოფლებში, წინასაარჩევნოდ მთავრობა ფულად კომპენსაციას აძლევს ყველა ოჯახს, განურჩევლად იმისა, სტიქიის შედეგად მოსავალი გაუნადგურდათ თუ არა. 19 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულები მთავრობამ სამ კატეგორიად დაყო. პრემიერ – მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სტიქიიდან ერთი კვირის შემდეგ განაცხადა, რომ პირველ კატეგორიას, ანუ ოჯახს, რომელსაც მოსავალი 100%-ით გაუნადგურდა, 1300-1500 ლარის ოდენობის კომპენსაცია უნდა მიეღო, მეორე კატეგორიას, ოჯახს რომელსაც მოსავალი 70-80%-ით გაუნადგურდა 800-900 ლარი, მესამე კატეგორიის დაზარალებულებს კი რომლებსაც სტიქიამ მოსავლის 50%-მდე გაუნადგურა, 300-500 ლარი. კომპენსაციების დარიგება 14 აგვისტოს დაიწყო. „ყველა იღებს ვისაც ჰქონდა რამე და არა ჰქონდა. იმდენი ზარალი ვნახე, 3 000 ლარის წამალი მქონდა ნაყიდი და წამალიც დავკარგე და ვენახიც ზოგს კიდევ სულ არაფერი არა ჰქონდა, მიწები გაყიდეს და იმასაც 1 500 ლარს აძლევენ და მეც, დაზარალებულსაც. ვის რა ჰქონდა, არ შეამოწმეს. ვისაც არაფერი ჰქონდა, იმან უფრო მალე გამოიტანა ფული, მე ჯერ არაფერიც არ ამიღია,“ – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ნასამხრალის მკვიდრმა ვახტანგ ურჩუხიშვილმა. „ზოგს ნაკვეთებიც გადაურჩა, ვენახიც, სიმინდიც, მაგრამ სოფელში ყველამ 1 500 ლარი აიღო,“ – აღნიშნა შალაურის მაცხოვრებელმა ეთერ ჯოხარიძემ. სოფელ ვაზისუბანში კომპენსაცია ისეთმა ოჯახებმაც აიღეს, რომლებსაც ნაკვეთი საერთოდ არ აქვთ და სტიქიის შედეგად არც მათი სახლები დაზიანებულა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ იურისტის ირინე ურუშაძის განცხადებით, ზარალის არარსებობის შემთხვევაში მოსახლეობაზე დაზარალებულებისთვის განკუთვნილი კომპენსაციის გაცემა ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს ატარებს. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ ხუცაიძე ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტს გამორიცხავს. მისი თქმით, 1 500 ლარიან კომპენსაციას მხოლოდ პირველი კატეგორიის დაზარალებულები იღებენ.

◆ ◆ ◆

### საარჩევნო კოდექსის დარღვევა

დარღვევა გურჯაანში – №12 გურჯაანის საოლქო – საარჩევნო კომისიამ №47 საუბნო – საარჩევნო კომისიის წევრად აირჩია მარიამ ხუციშვილი, რომელიც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს იყო ამავე საუბნო – საარჩევნო კომისიის მდივანი და დაარღვია საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. მოქმედი საარჩევნო კოდექსით, საოლქო – საარჩევნო კომისიას ეკრძალება მომდევნო არჩევნებისთვის იმ პირის კომისიის წევრად არჩევა, რომლის მიერ საარჩევნო კოდექსის დარღვევა დადასტურებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით. 2010 წელს გურჯაანის საოლქო – საარჩევნო კომისიას სასამართლოში რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა ზურან დანელიშვილმა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ უჩივლეს. სასამართლომ სარჩელის განხილვის შედეგად, დადასტურებულად ცნო, რომ გურჯაანის №47 საუბნო – საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გულიკო როსტოშვილმა და მდივანმა მარიამ ხუციშვილმა დაარღვიეს საარჩევნო კოდექსი, თუმცა ამ დარღვევას არჩევნების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია, რის გამოც კენჭისყრის შედეგები არ გააუქმა. კომისიის წევრად მარიამ ხუციშვილის არჩევის გამო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა ბექა მაისურაძემ. ცესკო-მ საჩივარი დააკმაყოფილა და ბათილად ცნო №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება (№5/2012-16.08) ¹47 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად მარიამ ხუციშვილის არჩევის ნაწილში. ცესკო-ს გადაწყვეტილებით, გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალა – გამოაცხადოს კონკურსი №47 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

◆ ◆ ◆

11-დან 18 აგვისტოს ჩათვლით, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა რეგიონში დააფიქსირა ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის 3, ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის 1, ზეწოლის 7, თვალთვალის 1, დაკავების 2, ქონების დაზიანების 1, დაპირისპირების 5, „ქართული ოცნებიდან“ დეპუტატობის კანდიდატებისთვის წინასაარჩევნო შეხვედრის ჩაშლის 2 და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების 2 ფაქტი.

წინასაარჩევნო დაიჯესტში №2 (11-18 აგვისტო) მოცემული იყო ინფორმაცია, რომ 16-17 აგვისტოს რეგიონში ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის 3 ფაქტი დაფიქსირდა. დანაშაულის ნიშნების შემცველი ვიდეომასალის გავრცელების მიუხედავად, პოლიციას გამოძიება არ დაუწყია. 19 აგვისტოს, გამოძიების დაწყების მოთხოვნით შს გურჯაანის სამმართველოს კახეთის საინფორმაციო ცენტრმა მიმართა. პოლიციამ გამოძიება არც წერილობითი მიმართვის შემდეგ დაიწყო.

# ალმოაჩინე მხატვარი!

**საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ხელოვნების სასახლის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ახალი პროექტი დაიგეგმა. მუზეუმის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, დაიწყოს დავით არსენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ახალი ინოვაციური პროექტი სახელწოდებით „ალმოაჩინე ახალი მხატვარი“.**

ეკა ირემაშვილი

– XX საუკუნის დასაწყისში დიმიტრი შევარდნაძისა და კირილე ზდანევიჩის თაოსნობით საქართველოში მოძრაობა დაიწყო, რომელიც მხატვრობაში ახალი სახეებისა და შედევრების გამოვლენას ისახავდა მიზნად. ამ მოძრაობას ბევრი მნიშვნელოვანი გამოფენა და დიდი მხატვრის აღმოჩენა მოყვა. მათ შორის იყო ნიკო ფიროსმანიც. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოში დღესაც არიან ისეთი შემოქმედნი, რომელთა ხელოვნებას მხარდაჭერა და პოპულარიზაცია სჭირდება, ამიტომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებით დაინტერესებულ ყველა პირს ვთავაზობთ, გამოაგზავნონ თავიანთი ნამუშევრების ფოტოები. მუზეუმის ხელოვნებათმცოდნეები განიხილავენ წარდგენილ მასალებს და დადებითი პასუხის შემთხვევაში საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დავით არსენიშვილის სახელობის საგამოფენო დარბაზში მოაწყობს ამ ნამუშევრების გამოფენას და უზრუნველყოფს ნიჭიერი მხატვრების შემოქმედების პოპულარიზაციას. გამოფენის შემდეგ მხატვართან შეთანხმებით ერთი ნამუშევარი მუზეუმის კოლექციაში დარჩება, რაც ერთის მხრივ უზრუნველყოფს ეროვნული კოლექციების ახალი ნამუშევრებით შევსებას და ამასთანავე უზრუნველყოფს მხატვრის მომავალ წარმატებულ პროფესიულ კარიერას, – აცხადებს მუზეუმის ხელმძღვანელი გიორგი კალანდია.

როგორც მუზეუმში განმარტავენ, ამ პროექტში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ასაკის და პროფესიის ადამიანს. მსურველმა ბიოგრაფიასთან ერთად მუზეუმში უნდა გაგზავნოს მინიმუმ ხუთი ნამუშევრის ფოტო. ნამუშევრები შესაძლებელია წარდგენილი იყოს ნებისმიერ ჟანრში – ფერწერა, გრაფიკა, კინომხატვრობა, ქანდაკება, სცენოგრაფია, კარიკატურა, ხელნაკეთი ნივთები, ქსოვილი, ვიდეო არტი და ინსტალაცია.

პირველ ეტაპზე ახალი ინოვაციური პროექტის ფარგლებში მუზეუმის ხელოვნებათმცოდნეებმა არაერთი ნამუშევარი განიხილეს, არჩევანი კი ლითონზე მომუშავე ორ მხატვარზე შეჩერდა. მუზეუმის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, „ალმოაჩინე მხატვარის“ ეგიდით თემურ კვეზერელის და ლევან ჯოხაძის ნამუშევრების გამოფენა დაიგეგმა. ხელოვანები რკინაზე მუშაობენ, მათ ფერებსაც აძლევენ და ძირითადად ფიგურებს აკეთებენ, თუმცა მათ ნამუშევრებში აბსტრაქციებიც ბევრია.

ხელოვნების სასახლე მთელი წლის მანძილზე დაარსებიდან 85 წლის იუბილეს აღნიშნავს, ამიტომ ის ხშირად ხვდება როგორც ქართული, ისევ უცხოური პრესის ყურადღების ცენტრში. საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის შესახებ ცნობილ იაპონურ ჟურნალში დაიბეჭდა ვრცელი სტატია. აღსანიშნავია, რომ ჟურნალის ამ ნომერში საქართველოს და ქართულ კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ყდაზე ნინო ანანიაშვილია გამოსახული, აქვეა მოთხრობილი ქართული ბალეტის ისტორიის და თანამედროვეობის შესახებ. იაპონურმა ჟურნალმა ქართული მუზეუმებიდან თავისი ყურადღება ხელოვნების სასახლეზე შეაჩერა, რაც მუზეუმში დაცული ეროვნული საგანძურის დიდი აღიარებაა. წერილში ვრცლად არის აღწერილი, თუ რა დოკუმენტი და ნივთი ინახება საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში.




მთელი წლის მანძილზე მუზეუმის იუბილესთან დაკავშირებით, არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი. სპეციალურად ამ საიუბილეო თარიღისთვის თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ დაფინანსდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მუზეუმის იუბილეს საზეიმოდ აღნიშვნას. მის ფარგლებში დაიგეგმა XIX საუკუნის გრაფ ოლდენბურგის სასახლის, სადაც განთავსებულია თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ისტორიული დარბაზებისა და ექსპონატების რესტავრაცია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პატრონაჟით კი მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავდა მუზეუმის მიწისქვეშა სართულების რეაბილიტაციას, დასრულებულია. სივრცეები თანამედროვე სტანდარტებით შესრულდა, გაკეთდა დრენაჟები და წყალამრიდი სისტემები, გამაგრდა კედლები, მიწისქვეშა სართულებზე მუზეუმის პერიოდულ გამოცემათა კინო და ფონო ტექნიკის, ქანდაკებისა და თეატრალური მაკეტების საცავები მოეწყო.

იუბილარი მუზეუმის ხელმძღვანელის გიორგი კალანდიას თქმით, მუზეუმი მთელი წლის განმავლობაში არაერთ მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლებს, რომელიც კვლავაც საინტერესო გამოფენებსა და ვორქშოფებს გაართიანებს.

# ტელემაყურებელთა კავშირი“ მედია საშუალებებისგან მეტ გამჭვირვალობას მოითხოვს

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ტელემაყურებელთა კავშირი“ ორი კვირის განმავლობაში მედია საშუალებებისგან ,განსაკუთრებით კი ტელე–მედიისგან რეალური მფლობელთა ვინაობისა და შემოსავლის წყაროს დასახელებას ითხოვს.

ორგანიზაციის დამფუძნებლის გიორგი კევლიშვილის თქმით, კორექტული დიალოგი ყველა მედია საშუალების მხრიდან , ხელს შეუწყობს რეალური გამჭვირვალობის დამკვიდრებას და ტელემაყურებელს მისცემს საშუალებას თავად გაერკვეს, რომელი ტელეარხი რა ფინანსური წყაროებით არსებობს.

„ტელემაყურებელთა კავშირმა“ ასევე ყველა მედიას მიმართა, შეიმუშაონ საკუთარი ეთიკის ნორმები, შემოიღონ „ შიდა ომბუდსმენის“ ინსტიტუტი საზოგადოებასთან ურთიერთობის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

„ტელემაყურებელთა კავშირის“ ახალ ინიციატივას პენ კლუბის წარმომადგენელი ირაკლი კაკაბაძე და უფლებადამცველი დაჩი ცაგურია შეუერთდნენ.

„ტელემაყურებელთა კავშირი“,რომლის სლოგანია „თავისუფალი და სამართლიანი მედიისთვის“ 2012 წელს , პრესის საერთაშორისო დღეს, 3 მაისს დაფუძნდა.

**მედიანიუსი**

# მემარჯვენეები ყვარელში ნათესებთან ნაგავსაყრელის არსებობას აპროტესტებენ

„ახალი მემარჯვენეების“ ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ნუგზარ ლონიაშვილმა ყვარელში სასოფლო-სამეურნეო ნათესებთან ნაგავსაყრელის არსებობა გააპროტესტა.

„აქ ხალხს ვენახები აქვთ, სიმინდის ყანები, სხვადასხვა ნარგავები. აქვე ახლოს კი ნაგავსაყრელია. ნაგვის აქ არსებობა ხომ აბინძურებს გარემოს, მოსავალს და აფერხებს მის რეალიზაციას. ვინ მოინდომებს ნაგავსაყრელის ახლოს მოწეული ყურძნის, სიმინდის ყიდვას?

„ახალი მემარჯვენეები“ მოვითხოვთ ადგილობრივი ხელისუფლებისგან გამოყონ სხვა ადგილი, სადაც ნაგავსაყრელი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოეწყობა. ეს ადგილი კი გაიწმინდოს ნაგვისგან,“ – განაცხადა ნუგზარ ლონიაშვლმა.

**მედიანიუსი**

# რუსთავის მერად ლაშა მინდელი დაინიშნა



რუსთავის მერად დეპუტატი ლაშა მინდელი დაინიშნა. მან ამ თანამდებობაზე ზაქარია დარჩიაშვილი შეცვალა.

ლაშა მინდელი ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ ქალაქის საკრებულოსა და მერიის სამსახურების წინაშე გუშინ ოფიციალურად წარადგინა. მისი თქმით, რუსთავის უკვე ყოფილი მერი ზაქარია დარჩიაშვილი გუბერნატორის პირველი მოადგილის თანამდებობას დაიკავებს.

რაც შეეხება ლაშა მინდელს, მას 1999-2001 წლებში რუსთავის მერის თანამდებობა ეკავა. 2001-2002 წლებში რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე, 2004-2008 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. 2008 წლიდან კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ კვლავ პარლამენტის დეპუტატია.

მისი განცხადებით, ის რუსთაველია, რის გამოც კარგად იცნობს თითოეული რუსთაველის პრობლემას. ახალ თანამდებობაზე საქმიანობისას მისი პრიორიტეტი უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა, წარმოება-დაწესებულებების ამუშავება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იქნება.

**მედიანიუსი**

# მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით უფასო ვიდეოპაემანი შედგა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ინიციატივით, მარიამობის დამდეგ დღესასწაულთან დაკავშირებით, მოქალაქეებმა ვიდეოპაემნის სერვისით უფასოდ ისარგებლეს.

აქცია 27 აგვისტოს, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის პრობაციის ოფისებში ჩატარდა. ვიდეოპაემანზე მისული მოქალაქეები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ახლობლებს გადასახადის გარეშე დაუკავშირდნენ.

მსჯავრდებულთან ვიდეოპაემანის ხანგრძლივობა 15 წუთით განისაზღვრება და მისი ღირებულება 15 ლარს შეადგენს. სოციალურად დაუცველი მოქალაქეები გადასახადისგან გათავისუფლებულები არიან.

ამ ეტაპზე ვიდეოპაემნის სერვისი ხორციელდება თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის პრობაციის ოფისებიდან, №11 არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში, ქსნის №15 დაწესებულებაში, რუსთავის №მე-16 და №მე-17 დაწესებულებებში.

**მედიანიუსი**

# არამდგრადი ამინდებია მოსალოდნელი

სინოპტიკოსები დასავლეთ საქართველოში ნალექს ვარაუდობენ, რომელიც მომდევნო დღეებში აღმოსავლეთ საქართველოზეც გავრცელდება.

როგორც ,,მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, დღეს დასავლეთ საქართველოში 39 გრადუსი სიცხე იქნება, აღმოსავლეთში კი 38 გრადუსი. ხვალიდან კი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთიდან ნოტიო ჰაერის მასები დაიწყებს შემოსვლას, რაც ამინდის გაუარესებას განაპირობებს.

29 აგვისტოდან იწვიმებს დასავლეთის უმეტეს და აღმოსავლეთის ზოგიერთ რეგიონში. აღმოსავლეთ საქართველოში წვიმას შესაძლოა სეტყვაც ახლდეს.

29 აგვისტოს სინოპტიკოსები აღმოსავლეთ საქართველოში ქარის გაძლიერებას პროგნოზირებენ, რომლის სიჩქარეც 20-25 მეტრი/წამი იქნება.

სინოპტიკოსების ინფორმაციით, ამინდის გაუარესება ჰაერის ტემპერატურის რამდენიმე გრადუსით დაკლებას გამოიწვევს, უმეტესად დასავლეთ საქართველოში.

გამოდარებას სინოპტიკოსები სექტემბრიდან ვარაუდობენ.

**მედიანიუსი**

# აზერბაიჯანში 3,0 სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

აზერბაიჯანში 3,0 სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა.

აზერბაიჯანის სეისმოლოგიური სამსახურის ცნობით, მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ შექში იყო.

მიწისძვრა 26 აგვისტოს ადგილობრივი დროით 17:37 საათზე მოხდა.

მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

**მედიანიუსი**

# ქარიშხალი აიზეკი“ ფლორიდას უახლოვდება



ქარიშხალი „აიზეკი“ ფლორიდას უახლოვდება. მექსიკის ყურეში ნავთობ და გაზგადამაუშავებელმა კომპანიებმა ნაწილობრივ შეაჩერეს მუშაობა. პლატფორმებიდან დასაქმებული პერსონალის ევაკუაცია მიმდინარეობს.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, გადადებულია ასობით ავიარეისი. შტატის გუბერნატორმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საგანგებო ვითარება გამოცხადებულია ასევე ლუიზიანაში, მისისიპისა და ალაბამაში.

ათასობით ადამიანი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

სპეციალისტების განცხადებით, „აიზეკს“ შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება მისი ცენტრიდან 320კმ რადიუსში.

ტროპიკული ქარიშხლის საფრთხის გამო საგანგებო სიტუაცია ამერიკის სამ შტატში, ლუიზიანაში, მისისიპისა და ალაბამაში წინასწარ გამოცხადდა.

„აიზეკმა“ კუბასა და ჰაიტზე 6 ადამიანი იმსხვერპლა.

ტროპიკული შტორმის გამო ერთი დღით გადადო ყრილობა რესპუბლიკურმა პარტიამ.

პარტიის ყრილობა პირველ დღეს მხოლოდ ხუთ წუთს გაგრძელდა, რადგან კოკისპირული წვიმისა და ქარიშხლის გამო, ღონისძიების გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

„რესპუბლიკური პარტიის“ ორგანიზატორთა განცხადებით, ყრილობა სამშაბათამდე გადაიდო, სწორედ ამ ყრილობაზე აპირებენ „რესპუბლიკელები“ საპრეზიდენტო კანდიდატის დასახლებას ბარაკ ობამას წინააღმდეგ. ამერიკელებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს მორმონი მილიარდელი მით რომნი იქნება.

მით რომნი ფლორიდაში ჩასვლას „აიზეკის“ გადავლის შემდეგ აპირებს.

რომნი პრეზიდენტობის კანდიდატის პოსტზე ფორმალურად სამშაბათს დამტკიცდება.

# რამზან კადიროვი ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორის საზღვრის დარეგულირებას ითხოვს

ჩეჩნეთის პირველი პირი რუსეთის ფედერაციისგან ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორის საზღვრის დარეგულირების საკითხის გადაწყვეტას ითხოვს. მისი განცხადებით, ზუსტი სასაზღვრო ზოლის არ არსებობა „მიწების მიტაცებას“ უწყობს ხელს. მისივე თქმით, სადავო ტერიტორიებზე ინგუშური დასახლებები ჩნდება. ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებს შორის 1992 წელს საზღვრის დემარკაცია არ განხორციელებულა.

– სასაზღვრო ზოლი, რომელიც ჩვენ არასდროს გაგვივლია ინგუშებთან ყოველდღიურად იწევს ჩეჩნეთის მხარეს. მარტო გორაგორსკას რაიონში, სასაზღვრო ზოლის არ არსებობის გამო, ინგუშეთის მხარეს აღმოჩნდა ჩეჩნური მიწის ასეულობით და ათასობით ჰექტარი მიწა, – აცხადებს კადიროვი.

– აქამდე ჩეჩნეთის ადმინისტრაცია თავშეკავებას იჩენდა, თუმცა ახლა ჩეჩნეთის ტერიტორიების დატაცება მიმდინარეობს, – განაცხადა კადიროვმა. მან ასევე განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაციით, ინგუშეთის ხელისუფლებამ ფედერალურ ცენტრს ჩეჩნური ტერიტორიების გადაცემა მოსთხოვა. მისი თქმით, ასეთი ქცევა პროვოკაციულ ხასიათს ატარებს.

ეს არ არის კადიროვის პირველი განცხადება ინგუშეთის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, კადიროვმა მწვავედ გააკრიტიკა ინგუშეთის პრეზიდენტი ევკუროვი ტერორისტებთან ბრძოლის არასწორი მეთოდების თაობაზე.

თავის მხრივ, ინგუშეთის ლიდერმა იუნუს-ბეკ ევკუროვმა მხარი დაუჭირა კადიროვის განცხადებას.

– კარგი იქნება თუ ეს პრობლემა გადაწყდება, რადგან მესამე მხარეს საშუალება აღარ ექნება ჩვენს საქმეებში ჩაერიოს და წაგვაჩხუბოს, – აცხადებს ინგუშეთის პირველი პირი.

1993 წელს ჩეჩნეთის მაშინდელ ლიდერ ჯოხარ დუდაევსა და ინგუშეთის პირველ პირს რუსლან აუშევს შორის საზღვართან დაკაშირებით ხელშეკრულება გაფორმდა, თუმცა დუდაევის მოკვლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის მიერ, მის მიერ გაფორმებული ბევრი ხელშეკრულება არალეგიტიმურად იქნა ცნობილი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# დავით საყვარელიძე ბათუმში ოპერას დგამს

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელი რეჟისორი დავით საყვარელიძე ახალ ოპერაზე მუშაობს, რომლის პრემიერაც 28, 29 და 30 აგვისტოს ბათუმის მუსიკისა და ხელოვნების ცენტრშია დაგეგმილი. ოპერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და განათლების სამინისტროს ხელშეწყობით იდგმება.

„ლუჩია ლამერმურიდან“ – ასეთია ახალი ოპერის სახელწოდება, რომელსაც ქართველი რეჟისორი გაეტანო დონიცეტის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დგამს. შემოქმედებითი ჯგუფი ბოლო დეტალებს ათანხმებს. დავით საყვარელიძის მიერ დადგმულ ოპერაში მხოლოდ ახალგაზრდა საოპერო შემსრულებლები მონაწილეობენ, ამის მიზეზი კი ერთია – რეჟისორის თქმით, მომავალი თაობა საოპერო ხელოვნებაში სწორედ დონიცეტის ამ ოპერაზე უნდა გაიზარდოს.

„ლუჩია ლამერმურიდან“ გაეტანო დონიცეტის უკვდავი ოპერაა, რომელიც ქართულ საოპერო სცენაზე წლებია აღარ დადგმულა. ოპერის დამდგმელი რეჟისორი დავით მუქერია და დავით საყვარელიძე არიან, დამდგმელი მხატვარი – ანდრეა მილიო, კოსტიუმების მხატვარი – ანა ბიაჯოტი. სამმოქმედებიან ოპერაში წამყვან პარტიებს ასრულებენ ახალგაზრდა საოპერო მომღერლები. დონიცეტის ოპერას ააჟღერებს ბათუმის ხელოვნების მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი, ხოლო სადირიჟორო პულტთან მაესტრო დავით მუქერია იდგება.

როგორც რეჟისორი განმარტავს, რეჟისურა სრულიად ახალია, დადგმა – ახალი, სამმოქმედებიანი ოპერა დასმა მოცულობითად წარმოადგინა და მასში არაერთი საინტერესო რეჟისორული გადაწყვეტაა.

იტალიელი კომპოზიტორი დომენიკო გაეტანო მარია დონიცეტი განთქმულია სწორედ ოპერით „ლუჩია დი ლამერმური“. არანაკლები პოპულარობა მოუტანა შემოქმედს არიამ „უნა ფურტივა ლაგრივა“ – ოპერიდან „სიყვარულის სასმელი“. იტალიელმა კომპოზიტორმა შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში 75-მდე ოპერა, 16 სიმფონია, 19 კვარტეტი სიმებისთვის, 193 სიმღერა, 45 დუეტი, 3 ორატორია, ინსტრუმენტული კონცერტები, ქორალური ნაწარმოებები და სონატები შექმნა.

ოპერა „ლუჩია დი ლამერმური“ იტალიური ბელ-ცანტოს სტილში ერთ-ერთ წამყვან ნიმუშად არის მიჩნეული. გაეტანო დონიცეტიმ იგი 1835 წელს, სერ უოლტერ სკოტის რომანის „პატარძალი ლამერმურიდან“ მიხედვით დაწერა. არსებობს თქმულება, რომ აღწერილი ისტორიის მსგავსი მართლაც მოხდა შოტლანდიაში, ლამერმურის მთებში, გადმოცემის თანახმად, დარლიმპლების ოჯახმა ასული, მისი ნების წინააღმდეგ, სხვას მიათხოვა. ყოველივე აქედან კი იშვა ისტორია, რომლის საოპერო სახეც 1835 წელს ჩამოყალიბდა. 26 სექტემბერს ნეაპოლის თეატრ „სან-კარლოში“ ოპერის პრემიერა შედგა. იტალიური ლიბრეტოს ავტორი სალვატორე კამარანოა. დონიცეტიმ ლუჩიას ფრანგულენოვანი ვარიანტიც შექმნა. „ლუჩია დი ლამერმური“ ერთ-ერთი ურთულესი ოპერაა თავისი მრავალრიცხოვანი პასაჟებითა და მაღალი ბგერებით დატვირთული არიებით. სიუჟეტი დრამატული, მისტიკური და შთამბეჭდავია. განსაკუთრებით დიდ მუშაობას მოითხოვს ე.წ. „ლუჩიას სიგიჟის სცენა“, რომელიც მთავარი როლის შემსრულებლის 18-წუთიან არიას მოიცავს.

ოპერაში „ლუჩია ლამერმურიდან“ მოქმედება XVI საუკუნის შოტლანდიაში ხდება. მოვლენების ცენტრშია ლუჩია, ლორდ ჰენრი ეშტონის (ენრიკო) – ლამერმურთა საგვარეულო ციხესიმაგრის ბატონის და. მისი ოჯახი რავენსვუდების დინასტიის დაუძინებელ მტრად არის წარმოჩენილი. ლუჩიას ფარულად უყვარს ედგარ რავენსვუდი (ედგარდო), რომელიც ერთადერთი ცოცხალი შთამომავალია საკუთარი გვარისა. ეშტონს გადაწყვეტილი აქვს, თავისი და ართურ ბეკლოუს (არტურო) მიათხოვოს და ამით პოზიციები განიმტკიცოს, მაგრამ ლუჩია უარზეა. სამმოქმედებიან ოპერაში მოვლენები დრამატულად ვითარდება.



– ამ ოპერამ უდიდესი აღიარება და პოპულარობა მოუტანა დონიცეტის. კარუზოს გარდაცვალებისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოპერის კრიზისი დაიწყო. ბელ-ცანტოს ურთულესი, მაღალპროფესიონალური სტილით მღერა გაქრობის ზღვარზე დადგა. ლუჩიას პარტია კოლორატორული სოპრანოების მიერ სრულდება. მათი ხმის ტემბრი და შესრულების ტექნიკა ბელ-ტანცოს სტილში ჯდება. ბერძენმა სოპრანო მარია კალასმა თავისი განუმეორებელი სოპრანოთი ოპერაში მივიწყებული ტრადიციები აღადგინა, მან 50-წლიანი პაუზის შემდეგ შეძლო ლუჩია დი ლამერმურის არიის შესრულება, ამიტომ ამ ოპერის აღდგენაც მარია კალასის სახელთან არის დაკავშირებული, – ამბობს რეჟისორი.

გაეტანო დონიცეტის ტრაგიკული დრამა „ლუჩია დი ლამერმური“ საქართველოში თბილისის ოპერის თეატრის გახსნის დღეს შესრულდა და მას შემდეგ აღარ შესრულებულა. საოპერო სპექტაკლში მხოლოდ ბათუმის მუსიკალური ცენტრის სოლისტები მონაწილეობენ. ახალი ოპერის „ლუჩია ლამერმურიდან“ პრემიერა ბათუმის ხელოვნების ცენტრში კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის სამი დღის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი.

# ბოლივუდი საქართველოში მეორე ინდურ ფილმს იღებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოში მორიგი ინდური ფილმის გადაღებები მიმდინარეობს. გახმაურებული ინდური ბლოკბასტერის „ბილას“ მეორე ნაწილის გადაღებების შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოწვევით ინდოელი პროდიუსერები, რეჟისორები და მსახიობები ახალ ფილმზე მუშაობენ. ბოლივუდი კვლავ დაბრუნდა საქართველოში და უკვე დაწყებულია ახალი ფილმის გადაღებები. ბლოკბასტერის შემდეგ საქართველოს გარემო ამჯერად უკვე ისტორიული ჟანრის ფილმს მოუხდა. „სხვა სამყარო“ – ასე ეწოდება ახალ ინდურ ფილმს, რომელშიც ინდოელ ვარსკვლავებთან ერთად ქართველი მსახიობებიც მონაწილეობენ.

როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იუწყება, ახალი ფილმის „სხვა სამყარო“ ბიუჯეტი 5 მილიონი დოლარია. ფილმზე მუშაობს ინდოეთში წარმატებული რეჟისორი სელვა რაჯავან კრიშანამურტი, მთავარ როლებს კი ინდოეთის ძვირადღირებული და პოპულარული ვარსკვლავები ასრულებენ. ამ პროექტში მონაწილეობისთვის მიწვეულია „ჰოლივუდის“ ერთ-ერთი წამყვანი გრაფიკოს-სუპერვაიზორი, რომელსაც ნამუშევარი აქვს ისეთ ფილმზე, როგორიცაა „ავატარი“. ფილმი შუა საუკუნეების სიუჟეტს ასახავს. მასში მონაწილეობას უცხოელი, ქართველი მსახიობები და ადგილობრივი მცხოვრებლები იღებენ. ქართული მხრიდან პროექტში ჩართულია 50 პროფესიონალი კინემატოგრაფისტი – გადამღები პერსონალი. ინდოელი პროდიუსერები აქტიურად თანამშრომლობენ ქართულ მხარესთან, მათ შორის სტუდიასთან „მეტრო“ და „ქართულ ფილმთან“.

– ფილმში მოქმედება ვითარდება შუა საუკუნეების საქართველოში. სცენებში ფიგურირებს ქართველი მეფე მისი ერთგული ჯარით. ფილმი მდიდარია ბატალური სცენებითა და 3 დე გრაფიკით. გადაღებები ბოლოს მიმდინარეობდა 2 თვის განმავლობაში, გადამღებმა ჯგუფმა მოინახულა საქართველოს ყველა რეგიონი და ღირსშესანიშნავი ადგილები. რიგი სცენების გადაღებები განხორციელდა თუშეთში, კერძოდ კი, დართლოში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, შუა საუკუნეების სოფლის სიუჟეტებისათვის. ჯავახეთში – ვარძიის კომპლექსში და მიმდებარე ტერიტორიებზე, ახალციხეში – განახლებული რაბათის ციხეში, ასევე კახეთში – ალავერდსა და სიღნაღში, – აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.

როგორც ინდოელი რეჟისორი აცხადებს, მისთვის რაბათის ციხის ტერიტორია საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა. მისი თქმით, რაბათის ციხე ცოტა ადრე რომ გახსნილიყო, სრულმეტრაჟიანი ფილმის ნახევარზე მეტს სწორედ ახალციხეში გადაიღებდნენ, ახლა კი მათ ფილმის მთავარი სცენები სწორედ განახლებულ რაბათში გადაიღეს და ამითაც კმაყოფილი არიან.

ახალი ინდური ფილმისთვის ქართველი მსახიობები მსახიობთა სტუდიამ „ჯი არტ“ უზრუნველყო, რომელსაც ასევე მსახიობი ეკა ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობს. სულ ფილმში 70-მდე ქართველი მსახიობი, მათ შორის გივი ჩუგუაშვილი,ა პაატა ბარათაშვილი და 50 კასკადიორი მონაწილეობს, ხოლო რამდენიმე სცენაში 300-მდე ადამიანი იქნება გადაღებული. მსახიობთა ნაწილს ინდურის სწავლაც მოუწევს სხვადასხვა ეპიზოდების ბუნებრივად გადაღების მიზნით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უკვე თითქმის ორი წელია თანამშრომლობს ინდოელ პროდიუსერებთან. ამ თანამშრომლობის შედეგად გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ორი მემორანდუმი, გადაღებულია პირველი ინდური ფილმი, რომლის შედეგადაც ქართული ეკონომიკის სასარგებლოდ დაიხარჯა მილიონ დოლარზე მეტი, გამოცდილება მიიღო გადამღებმა პერსონალმა და დასაქმდნენ ქართველი მსახიობები.

– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინდოელ და სხვადასხვა ქვეყნების წამყვან პროდიუსერებთან თანამშრომლობის მეშვეობით თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქართული კინოინდუსტრიის განვითარებაში. საერთაშორისო კინოკომპანიების ჩამოსვლა ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ახდენს ქვეყნის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას და ამასთანავე წარმოადგენს სტიმულს მთელი რიგი სხვა სფეროების აქტიური წინსვლისათვის, რაც მაღალი დონის კინოპროდუქტის შესაქმნელადაა საჭირო, – აცხადებენ სამინისტროში.

ინდოეთის დიდ ქალაქებში უკვე გაიმართა საქართველოში გადაღებული პირველი ინდური ფილმის „ბილა 2“-ის პრემიერა. ფილმს საქართველოში ბოლივუდის წარმომადგენლები ერთი თვის განმავლობაში იღებდნენ. კინოსურათი ერთდროულად ბომბეიში, ჩენაისა და გოაში უჩვენეს. პრემიერას ინდოეთის ცნობილი მსახიობები და პროდიუსერები ესწრებოდნენ. საქართველოდან კი ფილმის სანახავად ჩავიდნენ სტუდია „მეტროს“ და „ქართული ფილმის“ წარმომადგენლები. მათ პარალელურად გამართეს შეხვედრები ადგილობრივ პროდიუსერებთან სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, სადაც განხილულ იქნა ერთობლივი თანამშრომლობის საკითხები. საქართველოში „ბილა 2“-ის გადაღებები გასულ წელს ერთი თვის განმავლობაში თბილისში, ლიკანსა და რუსთავში მიმდინარეობდა.

– ინდოეთიდან ჩამოსულ 30-კაციან გადამღებ ჯგუფს ქართველებიც შეუერთდნენ და კინოგადაღებებმა წარმატებით ჩაიარა. ინდოელებს მსახიობების კასტინგში კომპანია „ჯე-არტი“

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# საოცარი დილა და იმერული დერბი

### ტორპედო _ ზესტაფონი 1:0

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი**

*1:0 დათუნაიშვილი (90)*

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, კვახაძე, გ.გურული, ზ.ჭელიძე, რიგვავა, საბანაძე, დოლიძე (გიგაური 72), გ.დათუნაიშვილი, კუხიანიძე (ვ.ბოლქვაძე, 52), ე.გრიგალაშვილი (ფანცულაია 83), ბერიაშვილი

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, ღონღაძე, კობახიძე, გორგიაშვილი, შარიქაძე, მილხრაუმი (რაჟამაშვილი 16), აფციაური (სარდალიშვილი 72), ოვონიკოკო, კვერნაძე (დ.მუჯირი, 59), თედორე გრიგალაშვილი

მსაჯის მიერ კონპენსირებული დროის მე-3 წუთი იწურებოდა, როდესაც ტორპედოელთა შეტევის მარჯვენა ფლანგზე შეცვლაზე შესულმა გიორგი ფანცულაიამ აქტიურად ითამაშა, ორჯერ მოუგო პოზიცია თემურ ღონღაძეს, რომელმაც ბურთი მოიგდო თუ არა, საჯარიმოში სწრაფად გაგზავნა, სადაც მრგვალ სფეროს გიორგი დათუნაიშვილი დაუხვდა, მიიღო და დაარტყა. მართალია, კვასხვაძემ რეაგირება მოასწრო, მაგრამ იმდენად ახლოდან და ძლიერად იყო დარტყმული, რომ ვერ შეიმაგრა და ბურთი ზესტაფონელთა კარში აღმოჩნდა – „ტორპედომ“ ბოლო წუთზე იმარჯვა.

საერთოდ, გულშემატკივარი უკვე მიეჩვია, რომ იმერული დერბის ბედი ბოლო წუთებზე წყდება. თუმცა, ამ მატჩში ერთი გოლი რომ გავიდა და ისიც არბიტრის დამატებულ დროში, ნათლად ვერ ასახავს 90 წუთის მიმდინარეობას. ორივე გუნდმა საკმაოდ შემტევი და ლაღი ფეხბურთი ითამაშა, მომენტებიც მრავლად შეიქმნა, მაგრამ ხან მეკარეები ყოჩაღობდნენ, ხანდახან შემტევებს უჭირდათ ბურთის სწორად კარში გადამისამართება.

მატჩის დასაწყისშივე გრიგოლ დოლიძის ჩაწოდებულ ბურთზე, ვარდნაში ნიკა საბანაძე ურტყამდა, მაგრამ ძალა ვერ დაატანა და როინ კვასხვაძესაც აღება არ გასჭირვებია. მალევე სტუმართა კარს გიორგი ბერიაშვილი დაემუქრა – კვასხვაძემ ბურთი ამჯერადაც მოიგერია.

მე-16 წუთზე ფეროელთა მწვრთნელ გია ჭიაბრიშვილს იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდა – ტრავმირებული გერმანელი ლეგიონერის, პატრიკ მილხრაუმის ნაცვლად მოედანზე დავით რაჟამაშვილი შეუშვა.

მართალია, ინიციატივა ისევ მასპინძელთა მხარეს იყო, მაგრამ თამაშის ტემპმა იკლო და გარკვეული დროის მანძილზე მოედანზე საინტერესო არაფერი ხდებოდა. მხოლოდ 37-ე წუთზე ქუთაისელებმა ისევ გაუშვეს ხელიდან გოლის გატანის შანსი – მამუკა კობახიძის შეცდომის შედეგად, საბანაძე მახვილი კუთხით პირისპირ დარჩა მეკარესთან, თუმცა კვასხვაძემ ამჯერადაც იმარჯვა. მალე საბანაძე უკვე შორიდან ცდილობდა გატანას – არაზუსტად. იგივე ბედი ეწია ელგუჯა გრიგალაშვილის დარტყმასაც.

განსხვავებული გამოდგა მე-2 ტაიმის დასაწყისი – უპირატესობა სტუმრებმა იგდეს და ძალზე რეალური მომენტიც შექმნეს ქუთაისელთა კართან. დათა რიგვავას შეცდომის შემდეგ, რაჟამაშვილი შეტევის მარცხენა ფლანგზე გავიდა და საჯარიმოში ოვონიკოკო მოძებნა, რომელმაც ერთი შეხებით შორეულ კუთხეში დაარტყა, მაგრამ სიზუსტე მცირედით დააკლდა. მალე, დაახლოებით 23 მეტრიდან გორგიაშვილმა დაარტყა – ამჯერად მიგინეიშვილმა მოახერხა ბურთის აღება.



ეს იყო და რიონისპირელებმა მეტოქეს ინიციატივა ჩამოართვეს და ურეალურესი მომენტი გაანიავეს. 50-ე წუთზე, კუთხურის ჩაწოდების შემდეგ, ალექსანდრე კვახაძე თავით ურტყამდა, მაგრამ მეკარემ მოიგერია, დამატებაზე პირველი გიორგი ბერიაშვილი გაჩნდა და დაუცველი კარიდან ახლოში მყოფმა ბურთი ჩარჩოში ვერ მოახვედრა. მალე დათუნაიშვილსაც მართებდა გატანა თავით, მაგრამ ვალერი ბოლქვაძის გადაცემა ვერ შეირგო.

59-ე წუთზე, მასპინძლებმა მაინც გაიტანეს, მაგრამ არბიტრმა მანამდე მათი მხრიდან წესის დარღვევა მიიჩნია და მასპინძლებს გოლი გაუუქმა.

ამის შემდეგ ისევ სტუმრების რიგი დადგა – ისინი უპირატესობას დაეუფლნენ, მასპინძლებს მეტოქის ნახევარზე ბურთის გადატანა უჭირდათ, თუმცა თავს კარგად იცავდნენ და მარგველებს რამე განსაკუთრებული არაფერი შეუქმნიათ.

გია გეგგუჩაძემ გუნდის გამოსაფხიზლებლად შეცვლას მიმართა და ბურთზე კონტროლი ისევ მასპინძლებმა დააწესეს. 77-ე წუთზე ბერიაშვილმა ისევ ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან – ბურთი ღონღაძემ დაკარგა, რომელიც საჯარიმოს ხაზთან ბერიაშვილს მიუვიდა, გიორგიმ ერთი მოძრაობით „მოტეხა“ ორი მცველი და მეკარესთან პირისპირ გასულს გატანა მართებდა, მაგრამ ამჯერადაც კვასხვაძემ შესანიშნავად ითამაშა და სტუმრები გაშვებულ გოლს გადაარჩინა.

მატჩის ბოლო წუთებმა დრამატულად ჩაიარა. ჯერ მასპინძელთა კარს ზედიზედ ორჯერ დავით მუჯირი დაემუქრა. პირველ შემთხვევაში, „მუმუს“ დარტყმული ქუთაისელთა მცველს მოხვდა თავზე და მცირედით აცდა ხარიხას, მეორედ, მისი დარტყმული ომარ მიგინეიშვილმა მოიგერია.

საპასუხოდ, ქუთათურებსაც ჰქონდათ ბრწყინვალე შანსი, მაგრამ ზესტაფონელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ვერ ისარგებლა ბოლქვაძემ, რომელმაც დარტყმა დააგვიანა და სიტუაციაც განიმუხტა.

თითქოს მატჩიც ფრედ უნდა დასრულებული, მაგრამ ბოლო წუთზე ის მოხდა, რაც დასაწყისში გიამბეთ.

### მატჩის შემდეგ

**გია ჭიაბრიშვილი, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:**

– როგორც ყოველთვის, საინტერესო და დაძაბული თამაში გამოვიდა. გვქონდა გასატანიც და გასაშვებიც. მეტოქემ მშვენივრად ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ამით ყველაფერი არ სრულდება. დროა საჭირო, გუნდი უკეთ რომ შეთამაშდეს, განსაკუთრებით დაცვის ხაზი. „ზესტაფონი“ კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

**გია გეგუჩაძე, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:**

– საინტერესო მატჩი გამოდგა, რომელშიც წესით, გოლები მრავლად უნდა გასულიყო. ორივე გუნდმა ღია და სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენა. ვფიქრობ „ტორპედომ“ უფრო მონდომა და გამარჯვებაც ამის შედეგია.

### დილა _ სიონი 2:3

**თბილისი. ნაკრების საწვრთნელი ცენტრი ბასა**

*0:1 ჯიქია (3), ქუცურუა (5), 1:2 კაციტაძე (17), 2:2 ახალკაცი (68), 2:3 ჯიქია (73)*

**დილა:** სკენდერი, კაშია, სალუქვაძე, გ.ონიანი, ნ.ჯიშკარიანი, კაციტაძე (ახალკაცი 56), გოგუა (კლიმიაშვილი 46), გორელიშვილი (არზიანი 38), კახელიშვილი, ილურიძე, ვაწაძე

**სიონი:** ბობლიაშვილი, ორბელაძე, სვანიძე, ქემოკლიძე, ჩიკვილაძე, ოქროპირიძე, ჯოჯუა, მანწკავა, ჭედია (ისიანი 66), ქუცურუა (ფეიქრიშვილი 69), ჯიქია (უგულავა 75)

ესეც „დილა“ – გუნდი, რომელიც ჩემპიონატის დაწყებამდე უპირობო ფავორიტად ითვლებოდა და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლის საკმაოდ კარგ შანსს ფლობს, ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ აგებს. ამასთან, გორელები ჯერ არ შეხვედრიან ისეთ გუნდებს, რომელთანაც ქულების დაკარგვა „დაგეგმილი“ ჰქონოდათ. რა სჭირს ეროვნულ ჩემპიონატში „დილას“?

გუნდებს მისალმება არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ „სიონი“ უკვე 2 ბურთით იგებდა. ჯერ რევაზ ჯიქიამ კარგად ითამაშა დასწრებაზე და ახლოდან გაიტანა, შემდეგ კი, გიორგი ქუცურუამ ისარგებლა მცველების შეცდომით და – 0:2. მიმდინარეობდა მატჩის მე-5 წუთი.

„დილამ“ შეუტია და ერთი გოლი მალევე გაქვითა. მე-17 წუთზე გოგიტა გოგუამ შორეულ ძელთან ჩააწოდა, გიორგი ონიანმა თავით შუაში დააბრუნა, სადაც ვალერი კაციტაძე დაუხვდა – 1:2.

ამის შემდეგ გოგუა და გიორგი კახელიშვილი ცდილობდნენ შორიდან გოლის გატანას, მაგრამ სიზუსტე დააკლდათ.

30-ე წუთზე „დილა“ გოლს რომ გადაურჩა, ამაში დამნაშავე ბოლნისელები არიან, კერძოდ კი, ქუცუარუა. გიორგი ჭედია მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩენილმა დარტყმას პასი ამჯობინა და ჯიქიამ გადააწოდა, რომელმაც კარისკენ გაგზავნა. ბურთი კარში პატიოსნად შედიოდა, მაგრამ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

სტოკი-არსენალი ........................ 0:0
ლივერპული-სიტი ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| 2.სუონსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| 3.ევერტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| 4.ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| 5.სიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| 6.ფულემი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| 7.მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 8.უიგანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 9.ნიუკასლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| 10.ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| 11.სტოკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 12.არსენალი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| 13.სანდერლენდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 14.ტოტენჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 15.რედინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| 16.ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| 17.ქპრ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| 18.ნორვიჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| 19.საუთჰემტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| 20.ას.ვილა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-ბარსელონა .................. 1:2
გრანადა-სევილია ...................... 1:1
ხეტაფე-რეალი ......................... 2:1
ვალენსია-დეპორტივო ................ 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| 2.რაიო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| 3.დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| 4.მალიორკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 5.სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 6.მალაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 7.ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| 8.ვალიადოლიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 9.ხეტაფე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 10.სარაგოსა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 11.სოსიედადი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| 12.ვალენსია | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| 13.რეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 14.ლევანტე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 15.ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 16.გრანადა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 17.ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 3:5 | 0 |
| 18.სელტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| 19.ოსასუნა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| 20.ესპანიოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ერკულესი-ელჩე ........................ 1:2
კორდობა-რასინგი ...................... 2:0

### იტალია. სერია ა

მილანი-სამპდორია ..................... 0:1
ატალანტა-ლაციო ....................... 0:1
ჯენოა-კალიარი ......................... 2:0
კიევო-ბოლონია ......................... 2:0
პალერმო-ნაპოლი ....................... 0:3
პესკარა-ინტერი ........................ 0:3
რომა-კატანია ........................... 2:2
სიენა-ტორინო .......................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 2.ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 3.ჯენოა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 4.იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 5.კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 6.ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 7.ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 8.სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 2 |
| 9.რომა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 10.კატანია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 11.ტორინო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 |
| 12.უდინეზე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 13.მილანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 14.ბოლონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 15.კალიარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 16.პარმა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 17.პესკარა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| 18.პალერმო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| 19.ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -2 |
| 20.სიენა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | -5 |

*შენიშვნა: სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

### გერმანია. ბუნდესლიგა

ჰანოვერი-შალკე ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 2.ფორტუნა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 3.აინტრახტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 4.დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 5.გლადბახი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 6.ვოლფსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 7.ნიურნბერგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 8.შალკე | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 9.ჰანოვერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 10.მაინცი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 11.ფრაიბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 12.ლევერკუზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 13.ვერდერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 15.ჰამბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 16.შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 17.აუგსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 18.ფიურტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-ალენი .......................... 0:1
ინგოლშტადი-ფრანკფურტი ........ 0:2
კაიზერი-მიუნხენ 1860 ................ 0:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

მონპელიე-მარსელი ..................... 0:1
სტ.ეტიენი-ბრესტი ...................... 4:2
პსჟ-ბორდო .............................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მარსელი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| 2.ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 3.ვალანსიენი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| 4.ტულუზა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| 5.ბორდო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| 6.ბასტია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| 7.ლორიენი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| 8.ლილი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| 9.ნანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 10.აიაჩო | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| 11.სტ.ეტიენი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |
| 12.პსჟ | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| 13.რენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 14.რეიმსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 15.ბრესტი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 16.ნიცა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| 17.მონპელიე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:3 | 1 |
| 18.ევიანი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| 19.ტრუა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 0 |
| 20.სოშო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

ალკმაარი-ჰერენვენი ................... 0:0
ტილბურგი-ვიტესი ...................... 0:2
ნაიმეგენი-ტვენტე ...................... 1:3
ერაკლესი-ფეინოორდი ................ 1:3
გრონინგენი-პსვ ........................ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტვენტე | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| 2.აიაქსი | 3 | 2 | 1 | 0 | 13:3 | 7 |
| 3.ვიტესი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 4.ფეინოორდი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 5.ვალვაიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| 6.პსვ | 3 | 2 | 0 | 1 | 10:4 | 6 |
| 7.დენ ჰააგი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | 5 |
| 8.ალკმაარი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| 9.უტრეხტი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| 10.ნაიმეგენი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |
| 11.ტილბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| 12.ზვოლე | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| 13.ჰერენვენი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| 14.ვენლო | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| 15.ერაკლესი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| 16.გრონინგენი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |
| 17.ბრედა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |
| 18.როდა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |

### პორტუგალია. ა ლიგა

მორეირენსე-ნასიონალი .............. 3:1
ეშტორილი-ფერეირა .................... 1:1
მარიტიმუ-ჟილ ვისენტე ............... 0:0
სეტუბალი-ბენფიკა ...................... 0:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 |
| 2.პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| 3.ბრაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| 4.მორეირენსე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| 5.ოლჰანენსე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 6.მარიტიმუ | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| 7.აკადემიკა | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| 8.ფერეირა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| 9.ჟილ ვისენტე | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| 10.სპორტინგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 11.ეშტორილი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 12.რიუ ავე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 13.ბეირა მარი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | 1 |
| 14.ნასიონალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| 15.გიმარაეში | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |
| 16.სეტუბალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:7 | 1 |

### რუსეთი. პრემიერლიგა

ამკარი-კრასნოდარი ................... 2:2
ცსკა-კრ.სოვეტოვი ..................... 3:0
ანჟი-მორდოვია ......................... 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:4 | 13 |
| 2.ტერეკი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:8 | 13 |
| 3.რუბინი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:7 | 12 |
| 4.ცსკა | 6 | 4 | 0 | 2 | 10:6 | 12 |
| 5.სპარტაკი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:10 | 12 |
| 6.ანჟი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| 7.ლოკომოტივი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| 8.კრასნოდარი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| 9.ამკარი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| 10.ალანია | 6 | 2 | 1 | 3 | 12:11 | 7 |
| 11.კრ.სოვეტოვი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | 7 |
| 12.ყუბანი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| 13.როსტოვი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| 14.მორდოვია | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| 15.ვოლგა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:8 | 3 |
| 16.დინამო | 6 | 1 | 0 | 5 | 4:13 | 3 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-ჰარტსი ...................... 0:0
მოზერველი-სტ.მირენი ................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| 2.ჰიბერნიანი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| 3.დ.იუნაიტედი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| 4.ჰარტსი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 6 |
| 5.მოზერველი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| 6.როსი | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 |
| 7.სტ.მირენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| 8.კილმანროკი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| 9.აბერდინი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| 10.ინვერნესი | 4 | 0 | 3 | 1 | 7:9 | 3 |
| 11.სტ.ჯონსონი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |
| 12.დანდი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

სერვეტი-ლუცერნი ..................... 0:2
ციურიხი-სიონი ......................... 1:0
იანგ ბოიზი-ლოზანა ................... 0:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ვულფსბერგერი-რაპიდი ............. 1:0

### ბელგია. პროლიგა

სტანდარდი-მეხელენი ................. 3:2
გენკი-ვარეგემი ......................... 2:0
გენტი-ლოკერენი ........................ 2:1
მონსი-ბრიუგე ........................... 1:3

### საბერძნეთი. სუპერლიგა

კერკირა-ატრომიტოსი ................. 0:2
ოფი-ქსანთი ............................. 0:0
პაოკი-პანთრათიკოსი .................. 1:0
ვერია-ოლიმპიაკოსი .................. 1:2

### თურქეთი. სუპერლიგა

ბურსა-ისთანბული ...................... 0:1
ტრაბზონი-ელაზიგი .................... 2:0
ბეშიქთაში-გალათასარაი ............ 3:3

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

პლზენი-ბოლესლავი ................... 2:0
ჰრადეც კრალოვე-ბანიკი ........... 1:1
ბუდეოვიცე-ლიბერეცი ............... 0:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

შლიონსკი-კორონა ..................... 2:0
ბელხატუვი-ლეგია ..................... 0:2

### უკრაინა. პრემიერლიგა

მეტალურგი(ზ)-მეტალურგი(დ) ... 1:2
დნიპრო-ვოლინი ........................ 2:1
შახტარი-კარპატი ...................... 3:0
მეტალისტი-კრივბასი .................. 3:1

*კრივბასელთა გოლი ჯაბა კანკავამ გაიტანა*

ტავრია-არსენალი ...................... 1:1

### დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-სილკებორგი ....... 1:1
ოდენსე-ოლბორგი ...................... 0:4
ბროდბიუ-ესბიერგი .................... 1:1

### შვედეთი. ალსვენსკა

გაისი-აიკი .............................. 0:1
კალმარი-გიოტებორგი ................ 3:0
ჰეკენი-ელფსბორგი .................... 4:2

### ნორვეგია. ტიპელიგა

მიოლდე-ვალერენგა .................... 2:0
ულფი-სონგდალი ........................ 3:1
ჰონეფოსი-ტრომსო ..................... 0:1
ჰაუგესუნდი-სტაბეკი .................. 4:1
რუსენბორგი-ვიკინგი .................. 1:1

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ინტერი-იარო ........................... 3:1

*ინტერის მეორე გოლი ირაკლი სირბილაძემ გაიტანა*

კუუპიო-ჯჯკ ............................ 2:3
მიუპა-ტპს .............................. 1:1
ჰიკი-მარიეჰამნი ....................... 5:1

### ბრაზილია. სერია ა

ბოტაფოგო-ფლამენგო ................ 0:0
ინტერნასიონალი-გრემიო .......... 0:1
კორინთიანსი-სან პაულუ ............ 1:2
ფიგეირენსე-კურიტიბა ............... 3:1
ბაია-ატლეტიკო(გ) ..................... 1:1
კრუსეირო-ატლეტიკო(მ) ............ 2:2
რესიფე-ნაუტიკუ ....................... 0:0

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

რაფაელა-ქილმესი ...................... 1:1
ბელგრანო-ოლდ ბოიზი .............. 0:0
ლანუსი-რასინგი ........................ 1:1
სან მარტინი-ველეჟი .................. 0:3
რივერ პლეიტი-სან ლორენცო .... 0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ნიკა მეტრეველი ნაპოლიში გადადის

საქართველოს ნაკრების ფორვარდი ნიკა მეტრეველი „ნაპოლიში" გადადის – ამ ინფორმაციას იტალიური გამოცემები ავრცელებენ.

„ნაპოლი" ერთ დროს ევროლიგაზეც გამოდიოდა, თუმცა სადღეისოდ იტალიის ჩემპიონატის მეორე ლიგაშია.

შეგახსენებთ, რომ ნიკა მეტრეველი გასულ სეზონში იტალიურ „დინამო სასარიში" გამოდიოდა,



მანამდე „რიმინი კრაბსის" ღირსებას იცავდა, ხოლო უფრო ადრე – „მონფერატოსი".

მეტრეველს მოქმედი კონტრაქტი აქვს სიენას „მონტეპასკისთან". შარშან „დინამოში" განათხოვრების წესით თამაშობდა. თუმცა, ამჯერად დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, კლუბი საერთოდ გაასხვისებს ქართველ კალათბურთელს თუ ისევ განათხოვრების წესით გაუშვებს.

# ნონა გაფრინდაშვილი კაუნასში ბრინჯაოს დასჯერდა

კაუნასში დამთავრდა ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, სენიორთა მსოფლიო და ევროპის პირველობების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი და საქართველოს ექსჩემპიონი ნინო მელაშვილი მონაწილეობდნენ.

ბოლო ტურში გაფრინდაშვილმა თეთრი ფიგურებით ესტონელ ჰედა კრუუსიაუკს სძლია და 6,5 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ამდენივე ქულა მოაგროვა რუსმა გალინა სტრუტინსკაიამ, რომელმაც ბოლო ტურში თანამემამულე ტატიანა ბოგუმილს აჯობა და უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი დაიკავა. 7,5 ქულით ევროპის ჩემპიონობა ესტონელმა ტატიანა ფომინამ მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ პარტიაში თამარ ხმიადაშვილი დაამარცხა. თავად ხმიადაშვილი 5 ქულით მე-8 ადგილზე გავიდა, ნინო მელაშვილს 4,5 ქულით მე-12 ადგილი ხვდა.

# საოცარი დილა და იმერული დერბი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა ქუცურუამ მაინც მიკრა ფეხი და ცხადია, მსაჯმაც გააუქმა.

მეორე ტაიმში „დილა" უფრო აქტიურობდა, თუმცა რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება უჭირდა. ამის მიუხედავად მაინც გაიტანა – 65-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა რომან ახალკაცმა გაათანაბრა ანგარიში, რომელმაც ეფექტურად გადაგზავნა ბურთი კარში – 2:2.

სტარტზე ორი განცდილი მარცხის შემდეგ „დილა" ქულაზეც არ იყო კმაყოფილი, ამიტომ კიდევ უფრო შეუტია და... კონტრშეტევაც გაეპარათ. გიორგი ოქროპირიძის მშვენიერი პასით ჯიქია პირისპირ დარჩა მეკარესთან, არ დაახანა და ბოლნისელებს დაუგეგმავი 3 ქულა მოუტანა.

დარჩენილ დროში „სიონი" ორჯერ გადარჩა – ჯერ ზურაბ არზიანის დარტყმული საჯარიმო მოხვდა ხარიხას, შემდეგ კი მათე ვაწაძემ ახლოდან თავით ააცილა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კარგი დასაწყისისა, ბოლნისის „სიონს" ახალი მწვრთნელი ეყოლება. ხვიჩა ქასრაშვილმა, რომელიც ამ მატჩში დისკვალიფიცირებული გახლდათ და გუნდი თანაშემწე ჯონი ჯაგიდისმა გაიყვანა, თანამდებობა დატოვა. მიზეზები გაურკვეველია, თუმცა ეს ქასრაშვილისგან გასაკვირი არ არის – 2005 წლიდან მოყოლებული ეს სპეციალისტ „სიონს" უკვე 5-ჯერ ჩაუდგა სათავეში.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| 2.ჩიხურა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| 3.მეტალურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| 4.ზუგდიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| 5.ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| 6.ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| 8.მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| 9.სიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| 10.კოლხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| 11.დინამო (ბთ) | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| 12.დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

**ბომბარდირები:** რევაზ ჯიქია (სიონი) – 3 ბურთი; ლევან კუტალია (ზუგდიდი), რევაზ გოცირიძე (ჩიხურა), მათე ვაწაძე (დილა), ჩისკო, ალვარო (ორივე დინამო თბილისი), დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 2-2.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# 24-ე საყოველთაო ნათლობისთვის რეგისტრაცია იწყება

*ეკა ირემაშვილი*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე შემოდგომაზე კიდევ ასობით პატარას მონათლავს. ჩვილთა რიგით 24-ე ნათლობისთვის რეგისტრაცია 31 აგვისტოს დაიწყება. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ნათლობის ზუსტი თარიღი ჯერ დადგენილი არ არის, უკვე გადაწყვეტილია, რომ პატრიარქის ნათლულები სექტემბერში სამების საპატრიარქო ტაძარში გაქრისტიანდებიან. რიგით 23-ე საჯარო ნათლობა სამების ტაძარში 13 ივლისს შედგა. მაშინ მისმა უწმინდესობამ 511 პატარა მონათლა.

– საბუთების მიღება დაიწყება 31 აგვისტოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ცენტრში „ლაზარე". ეს უკვე 24-ე საყოველთაო ნათლობაა. პირობები კვლავაც უცვლელია. ბედნიერია ის ადამიანი, რომლის ნათლიაც იქნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, – აცხადებს დეკანოზი შალვა კეკელია.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ამ ეტაპზე უკვე 12.500-მდე ნათლული ჰყავს. ილია მეორემ საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება, მშობლების სურვილის შემთხვევაში, მონათლოს ყოველ ჯვარდაწერილ ოჯახში დაბადებული მესამე და მომდევნო შვილი.



პირველი საჯარო ნათლობა 2008 წლის 19 იანვარს ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე ჩატარდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივას საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მისმა უწმინდესობამ განაცხადა, რომ ის მზად არის ჯვარდაწერილ მეუღლეებს მეოთხე შვილიც მოუნათლოს. საქართველოს ეკლესიის მეთაურის განჩინებით, ყოველი ოჯახის მეოთხე შვილს, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის ნათლული გახდა, სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილისა და საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტახტის მცველის ტიტული ენიჭება.

საყოველთაო ნათლობას სამების ტაძარში ერთდროულად რამდენიმე სასულიერო პირი ჩაატარებს. ილია მეორის ნათლულებს გადაეცემათ სამახსოვრო საჩუქრები – ნათლობის ჯვარი, სანთელი, ნათლობის მოწმობა და ახალი აღთქმა. საღვთო საიდუმლოს დასრულების შემდეგ კი ტაძარში მისი უწმინდესობა მიბრძანდება და თავის ნათლულებს დალოცავს.

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში ეტაპობრივად ეწყობა შეხვედრები პატრიარქის ნათლულთა მშობლებთან, სადაც სასულიერო პირები მათ იმ მადლზე ესაუბრებიან, რასაც პატრიარქის ნათლიობა ჰქვია. შეხვედრებზე გამოითქვა სურვილი, რომ პატრიარქის ნათლულთა სახელზე აშენდეს ეკლესიაც, რომელშიც თავად პატრიარქის ნათლულთა ოჯახები შესაძლებლობის ფარგლებში მიიღებენ მონაწილეობას, თუმცა ჯერ არც ეკლესიის აშენების ადგილი და არც სავარაუდო თარიღი ცნობილი არ არის.

# ბოლივუდი საქართველოში მეორე ინდურ ფილმს იღებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დაეხმარა, ხოლო პროდაქშენი, ტექნიკური და კინო აპარატურით კომპანია „მეტროსტუდიამ" უზრუნველყო. ინდოელმა პროდიუსერებმა ამ ყვავილაფრისთვის ერთი მილიონი აშშ დოლარი დახარჯეს. ამით შემოსავალი მიიღო საქართველომ. კინოინდუსტრიისთვის საქართველოს ინფრასტრუქტურა მოსახერხებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, რაც საქართველოს სერიოზულ შემოსავლებს მოუტანს, – განაცხადა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორმა ქეთი ბოჭორიშვილმა.

თავდაპირველად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომ „ბილა 2"-ის პრემიერა იმავე დღეს საქართველოშიც გამართულიყო, თუმცა, როგორც ჩანს, მოლაპარაკება არ შედგა, რადგან ინდური ფილმის პრემიერა მხოლოდ ინდოეთის ქალაქებში შედგა.

როგორც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ქეთი ბოჭორიშვილი აცხადებს, ბოლივუდის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაგეგმილია კიდევ რამდენიმე ინდური ფილმის გადაღება. საქართველოსა და ბოლივუდის თანამშრომლობით საქართველოში კიდევ სამი ახალი ფილმის გადაღება იგეგმება. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის ქეთი ბოჭორიშვილის თქმით, ინდურ საპროდიუსერო კომპანიებთან მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და ფილმების გადაღება უახლოეს მომავალში მოხდება. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ 2012 წლის სამოქმედო გეგმა უკვე გაწერილია, თუმცა ცვლილებების და სიახლეების შემთხვევაში, მისი ხელმძღვანელი მზად არის დეტალური ინფორმაცია საზოგადოებას მიაწოდოს.

## საერთაშორისო

# თალიბანის" წევრებმა ავღანეთში 17 მუსიკოსი მოკლეს

რადიკალური დაჯგუფება „თალიბანის" წევრებმა ავღანეთში, ჰელმენდის პროვინციაში, ფოლკლორული ანსამბლის 17 წევრი მოკლეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, მუსიკოსებს თავს შეიარაღებული მებრძოლები დაესხნენ და 17 მათგანს, რომელთა შორის ორი ქალი იყო, თავები მოაჭრეს. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, „თალიბები" მუსიკოსებს მთავრობასთან თანამშრომლობის გამო გაუსწორდნენ. სამართალდამცველები კი ვარაუდობენ, რომ მუსიკოსები იმიტომ დახოცეს, რომ კონცერტში ქალებიც მონაწილეობდნენ.

1996-2001 წლებში, როდესაც ქვეყანას „თალიბები" მართავდნენ, ავღანეთში მუსიკა აკრძალული იყო. ქალებს კი ქუჩაში გამოჩენა ჩადრის და ნათესავი მამაკაცის გარეშე ეკრძალებოდათ.

ასევე ავღანეთში ამბოხებულების თავდასხმის შედეგად 10 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ბი-ბი-სის ცნობით, შემთხვევა ვაშირის რაიონში საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, ამბოხებულების თავდასხმის შედეგად მოხდა.

ამ დრომდე ხუთი სამხედრო მოსამსახურე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

# აშშ-ში მარტინ ლუთერ კინგის უცნობი ჩანაწერი აღმოაჩინეს

ტენესის შტატის მცხოვრებმა სტეფონ ტულამ საკუთარი სახლის სხვენში ცნობილი ამერიკელი ორატორის, ადამიანთა უფლებების დამ-



ცველი მოძრაობის ლიდერ მარტინ ლუთერ კინგის უცნობი, 1960 წლის 21 დეკემბრით დათარიღებული აუდიოჩანაწერი აღმოაჩინა.

ეს არის მისი მამის მიერ ჩაწერილი ინტერვიუ, რომელიც რასიზმის თემასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ჩანაწერში მარტინ ლუთერ კინგი სამოქალაქო უფლებების დაცვის მოძრაობაზე საუბრობს და ყვება, რა გავლენა მოახდინა მის შეხედულებებზე აფრიკაში მოგზაურობამ.

ექსპერტები ამბობენ, რომ ჩანაწერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აქამდე არსებობდა მხოლოდ ერთი ინტერვიუ, სადაც მარტინ ლუთერ კინგი აფრიკაში საკუთარი მოგზაურობის შესახებ ყვებოდა.

მარტინ ლუთერ კინგი (უმცროსი) (დ. 15 იანვარი, 1929, ატლანტა, ჯორჯია – გ. 4 აპრილი, 1968, მემფისი, ტენესი), გამოჩენილი ამერიკელი ორატორი, რასიზმის არაძალისმიერი წინააღმდეგობის ლიდერი იყო.

მის გამოსვლებში (რომელთაგან ზოგიერთი ამჟამად ორატარული ხელოვნების კლასიკად მიიჩნევა) ის მოუწოდებდა თანასწორობის მიღწევას მშვიდობიანი გზით. მისი გამოსვლები სამოქალაქო უფლებების მოძრაობას ენერგიას მატებდა – იწყებოდა მარშები, ეკონომიკური ბოიკოტები, მასობრივი გამოსვლები და ა.შ. ამ მოძრაობას შედეგად მოჰყვა აქტი უფლებების შესახებ, მიღებული კონგრესის მიერ.

მარტინ ლუთერ კინგის ყველაზე ცნობილი გამოსვლაა „მე მაქვს ოცნება" („აი ჰევ ე დრიმ"), წარმოთქმული მშვიდობიანი მარშისას ვაშინგტონში 1963 წელს ლინკოლნის მონუმენტის კვარცხლბეკთან დაახლოებით 300 ათასი ამერიკელის წინ.

კინგმა რასისტული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ღვაწლისთვის ნობელის მშვიდობის პრემია დაიმსახურა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*



## hჰxცeჯჰლბ ,

**შვეულად:** 1. მონარქის ტიტული სპარსეთში; 2. ქვის ბოძებზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 4. ცხარე საწებელა; 5. ტრაგედია „ჰამლეტის" პერსონაჟი; 8. აღმოსავლური ტკბილეული; 9. ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; 10. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 12. ბელორუსიის დედაქალაქი; 13. დიდგვაროვანთა მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში; 15. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება.

**თარაზულად:** 1. ქართული ხალხური საგმირო პატრიოტული სიმღერა; 6. სმენის განსანვითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 7. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 13. პოპულარული ჰოლანდიური ყველი; 14. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 16. ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 17. ჰიმნების, საგალობლების კრებული ქართულ მწერლობაში; 18. იტალიელი მოდელიორი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმeც.ყც,ეჯბ hჰxცeჯჰლბც ღფ ციფყeჯჰლბც გფცეlც,ბ5

**კროსვორდის პასუხები:**

**შვეულად:** 6. კარეტა; 7. მანგუსტი; 8. ენდემი; 10. უცუნა; 11. გინეკოლოგი; 13. მაგნიუმი; 16. პოპური; 19. აპატრიდი; 20. კურდღელი.

**შვეულად:** 1. ბარნოვი; 2. ატამი; 3. კარტინგი; 4. ნუტაცია; 5. სილვანერი; 9. კალამი; 12. მონსტრი; 14. ავენიუ; 15. იარა; 17. რანდა; 18. სარი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პაროდია; 2. ქიმია; 3. ჟანრი; 4. დო; 5. ემუ; 6. ანაფორა; 7. ანოდი; 8. სკვინჩა; 9. ანოა; 10. რადონი; 11. ომარ; 12. სიმფონია; 13. ნაჟური; 14. მო; 15. გემი; 16. სიგარა; 17. რანჩო; 18. მორიკონე; 19. მოკო; 20. ბურიმე; 21. მანანა; 22. რომანსი; 23. რაისშინა; 24. პიცა; 25. არადანი; 26. დრო; 27. ნანტი; 28. ეკონომია; 29. ორდენი; 30. მია.

**სურათებზე:** ნორმა ბლუმი; ფაბიო კოენტრაო.

# სიერა ლეონეში ქოლერით 220 ადამიანი გარდაიცვალა



ქოლერის ეპიდემიის გავრცელების შედეგად ქვეყანაში 220 ადამიანი გარდაიცვალა. დასავლეთ აფრიკის ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, იანვრიდან დღემდე ქვეყანაში 12 140 ადამიანია დაავადებული. მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებს ქალაქების მჭიდროდ დასახლებული უბნები, სადაც ანტისანიტარია სუფევს და წყალი დაბინძურებულია.

სამინისტროს განცხადებით, ეპიდემიის ხელახალი აფეთქება სექტემბერში მოხდება, როდესაც წვიმების სეზონი დაიწყება.

ქოლერა უკვე გავრცელდა მეზობელ ნიგერიაში, მალსა და გვინეაში, სადაც უკვე 82 ადამიანი გარდაიცვალა.

სიერა-ლეონე დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს. ესაზღვრება ორი სახელმწიფო გვინეა და ლიბერია. ფართობი – 72 ათ. კმ.მ. დედაქალაქი – ფრიტაუნი.

# ნატომ თალიბანის“ ერთ-ერთი ლიდერი გაანადგურა

ავღანეთის აღმოსავლეთით ნატომ ავიადარტყმის შედეგად მოძრაობა „თალიბანის“ ერთ-ერთი ლიდერი მულა დადულა, მისი უახლოესი თანამოაზრე შაკირი და რამდენიმე თანამებრძოლი გაანადგურა.

გავრცელებული ინფორმაციით, „თალიბანის“ ლიდერები და მათი 12 პირადი მცველი პაკისტანის საზღვართან პროვინცია კუნარში გაანადგურეს.

ნატო დადულას აშშ-ის და მისი მოკავშირეების შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმას სდებდა ბრალად.

სამხედრო უწყების ინფორმაციით, მულა დადულა პასუხისმგებელი იყო „თალიბანის“ მებრძოლების გადაადგილებაზე და მათი იარაღით მომარაგებაზე.

„თალიბანმა“ თავისი ერთ-ერთი ლიდერის გარდაცვალების ფაქტი დაადასტურა. თალიბანი ან თალიბანის მოძრაობა (თულაბას დამახინჯებული ფორმა, არაბული თალიბის მრავლობითი ფორმა, „მოსწავლე“), სუნიტური ფუნდამენტალისტური პრო-პაშტუნთა მოძრაობაა, რომელიც თითქმის მთელ ავღანეთს მართავდა 1996-2001 წლებში. დიპლომატიური აღიარება მხოლოდ სამი ქვეყნისგან მიიღო: არაბთა გაერთიანებული საამიროები, პაკისტანი და საუდის არაბეთი, ასევე არაღიარებული სახელმწიფო იჩქერიისგან.

# სალვადორში 7,4 სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

სალვადორში 7,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი წყნარ ოკეანეში, სალვადორის სანაპიროსთან იყო.

სეისმოლოგების ინფორმაციით, ცუნამის საფრთხე ამ დროისათვის არ არსებობს.

მიწისქვეშა ბიძგები ქალაქ უსულუტანუდან 125 კილომეტრზე დაფიქსირდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი 50,6 კმ. სიღრმეზე იყო. მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# სირიელმა ამბოხებულებმა სამთავრობო ძალების ვერტმფრენი ჩამოაგდეს

სირიელმა ამბოხებულებმა სამთავრობო ძალების საბრძოლო ვერტმფრენი ჩამოაგდეს. ამის ამსახველი ვიდეოკადრები ამბოხებულებმა იუთუბზე გაავრცელეს.

ვერტმფრენი სირიის დედაქალაქ დამასკოში აჯანყებულების პოზიციებს ბომბავდა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ ვერტმფრენი ჯერ კვამლის კვალს ტოვებს, შემდეგ ცეცხლი უჩნდება, მართვას კარგავს და ვარდება.

ჩამოგდებული ვერტმფრენი, სავარაუდოდ, რუსული წარმოების შემტევი მი-25 უნდა იყოს.

სირიის სახელმწიფო ტელევიზიამ დაადასტურა ვერტმფრენის განადგურების ფაქტი, თუმცა, აღნიშნა რომ ვერტმფრენის ჩამოვარდნის მიზეზი არა აჯანყებულთა მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმა, არამედ საბრძოლო მანქანის ტექნიკური გაუმართაობა იყო.

სირიის დედაქალაქ დამასკოსთან ახლოს მდებარე ქალაქ დარაიაში კი ორასამდე ცხედარი იპოვეს. ამის შესახებ სირიის ოპოზიციის აქტივისტებზე დაყრდნობით ბი-ბი-სი იტყობინება.

ოპოზიცია აცხადებს, რომ დაღუპულები სახლების სარდაფებშია ნაპოვნი.

მათივე განმარტებით, ისინი „ქალაქის“ წმენდისას სამთავრობო ძალების წარმომადგენლებმა დახოცეს.

ბი-ბი-სი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დამოუკიდებელი წყაროები ამ ეტაპზე არ არსებობენ.

ბოლო დღე-ღამის განმავლობაში სირიაში 370 ადამიანია დაღუპული.

სამთავრობო ტელეარხები აღნიშნულ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებენ, ეთერში ისმის შემდეგი ფრაზა: „ჩვენმა გმირმა ჯარისკაცებმა ტერორისტებისგან გაწმინდეს ქალაქი დარაია“.

გაეროს მონაცემებით, სირიის კონფლიქტში 2011 წლის მარტიდან 18 ათასი ადამიანია დაღუპული. ამ ფონზე, ეგვიპტე სირიასთან დაკავშირებით რეგიონული საკონტაქტო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოდის. ჯგუფში საუდის არაბეთი, ირანი, თურქეთი და თავად ეგვიპტე უნდა გაერთიანდნენ. ეს განცხადება ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა არმ



რუდშიმ გააკეთა.

ქაიროს ინიციატივის მიზანი სირიის კრიზისიდან გამოყვანაა და მოლაპარაკებების მაგიდასთან დამასკოს, როგორც მომხრეების, ისე მისი მოწინააღმდეგეების შემოკრებას ითვალისწინებს.

სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ კამელ ამრმა საუდის არაბეთის, ირანისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან სატელეფონო საუბრები უკვე გამართა.

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი მუჰამედ მურსი 30 აგვისტოს თეირანში დაგეგმილ მიუმხრობელთა მოძრაობის სამიტს დაესწრება, რომლის მთავარი თემა კარგა ხანია უკვე სწორედ სირიის კრიზისია.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ოფიციალური თეირანი სამიტზე სირიაში არსებული სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ გეგმის წარმოდგენას აპირებს.

# ჩრდილოეთ კორეის ლიდერი ომის დასაწყებად მზადაა

სამხრეთ კორეაში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ერთობლივი სამხედრო წვრთნები, რომელშიც ათი ათასობით სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 30 ათასამდე მხოლოდ ამერიკელი სამხედროა წარმოდგენილი. ამ წვრთნებს ჩრდილოეთ-კორეის ახალგაზრდა ლიდერი კიმ ჩენ ინი გამოეხმაურა და განაცხადა:

– თუ ერთი ჭურვი მაინც დაეცემა ჩვენს ტერიტორიაზე, მაშინ მთელი ჩვენი ძალები კონტრთავდასხმას განახორციელებენ ჩვენს მტრებზე. ჩვენი გამბედავი სამხედროები ელიან საბოლოო ბრძანებას ომის დასაწყებად, ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

ჩრდილოეთ კორეა ჩამოყალიბდა საბჭოთა ზონის საფუძველზე 38-ე პარალელის ჩრდილოეთით იაპონიის დამარცხების შემდეგ (1948). ჩრდილოეთ კორეის უახლესი ისტორიის მთავარი ფიგურა იყო „დიდი ბელადი“ კიმ ირ სენი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტიკას.



1951 წელს შეიჭრა სამხრეთ კორეაში შეერთების საბაბით, რამაც გამოიწვია სამწლიანი ომი. შეიქმნა დემილიტარიზებული ბუფერული ზონა გაეროს მეთვალყურეობის ქვეშ. ჩრდილოეთ კორეა არ ცნობს ამ ზონის არსებობას და პერიოდულად აქვს მცდელობები ორი კორეის გაერთიანებისა სამხედრო გზით.

1991 წლიდან გაეროს წევრია. 2000 წელს სამხრეთ კორეის პრეზიდენტის კიმ ტე ჯუნის ფხენიანში ვიზიტის შემდეგ შედარებითი „დათბობის პერიოდი“ დადგა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ცფვუქჯლბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

მეუღლე ელნარი რუხაძე, შვილები გურანდა, გვანცა, ცოლისდები ვიოლეტა, დარეჯანი, შვილიშვილები, დისშვილები, ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურმან ტურავა**

პანაშვიდი: 28, 29 აგვისტოს, 17 საათზე.

გამოსვენება: 30 აგვისტოს, 15 საათზე.

ვაჟა-ფშაველას VII კვარტალი, II კორპუსი, I სადარბაზო, მე-6 სართული.

ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

**მურმან ტურავა**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი რევაზ გოგოხია და სარედაქციო კოლეგიის წევრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკი, ცნობილი მეცნიერი, პროფესორი

**მურმან ტურავა**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

პარმენ ლემონჯავა ოჯახით იუწყება

**მურმან ილარიონის ძე ტურავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„გუმა-მერიდიანი+“ სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის დმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარეით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

**მურმან ტურავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა ნათელი

**მურმან ტურავა**



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, სტატისტიკოს-ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკური და ბიზნესის აკადემიების წევრი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ პასუხისმგებელი მუშაკი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი – მურმან ტურავა.

იგი დაიბადა 1936 წლის 1 აგვისტოს გალში, ინტელიგენტის ოჯახში. იქვე 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლის სრული კურსი და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარმატებით დაამთავრა 1959 წელს. 1960-1964 წლებში იგი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მასწავლებელია, 1964-1965 წლებში მუშაობს „ლენავტომატტორგის“ ინსპექტორად. 1965-1968 წლებში ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის დასწრებული განყოფილების ასპირანტია. 1975 წელს დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და მომდევნო წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1990 წელს დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1992 წელს არჩეულ იქნა პროფესორად, რომელ თანამდებობაზეც იგი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრაზე 2008 წლამდე (ამ პერიოდიდან იგი უნივერსიტეტის ბევრ სახელოვან მოღვაწესთან ერთად „რეფორმის“ აზრით ჩამოაცილეს საპროფესორო მუშაობას...). იგი წარმატებით კითხულობდა ლექციებს ეკონომიკური სტატისტიკის, ფინანსური სტატისტიკის და სხვა ეკონომიკურ დისციპლინებში. იყო სტუდენტთა საყვარელი ლექტორი. მან აღზარდა ეკონომისტ-სტატისტიკოსების მთელი თაობები, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. იგი ასევე ეწეოდა წარმატებულ სამეცნიერო მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატიები, პრაქტიკული ხასიათის ნაშრომები. მურმან ტურავა იყო სხვადასხვა რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო-ეკონომიკური კონფერენციის მონაწილე, ამასთან, იგი იყო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი მრავალი ახალგაზრდის ხელმძღვანელი, ოპონენტი, სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის. ბოლო პერიოდში ლექციებს კითხულობდა საქართველო-უკრაინის საერთაშორისო აკადემიაში. გარდაცვალებამდე იყო ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ პასუხისმგებელი მუშაკი. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, პროფესორი მურმან ტურავა იყო პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება. მის კალამს ეკუთვნის არაერთი საყურადღებო ესე, მინიატურა, ლექსი, რომლებიც იბეჭდებოდა, როგორც ქართულ პერიოდულ პრესაში, ასევე ცალკეული ბროშურების სახით. მურმან ტურავას დარჩა კარგი მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილები.

დაუვიწყარია პროფესორ მურმან ტურავას ხსოვნა მისი კოლეგებში, მეგობრებსა და სანათესაოში.

*მეგობრების ჯგუფი*

## TV პროგრამა

**სამშაბათი 28 აგვისტო**

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** ქართ. ფ. **"დედაო, ღვთისავ"**. **09.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.45** მოამბე **09.10** **"მარიამობა"** სიონის საკათედრო თაძრიდან. **14.00** ქართული დოკუმენტალისტიკა. **14.30** მხ. ფ. **"ათი მცნება"** **17.00** მედინფო **17.30** მსოფლიო ქალაქები **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერიალი **"მიმინო და მტრედი"** **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** დიალოგი დ.პაიჭაძესთან. **22.40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა განმეორებითი შეხვედრა. პირდაპირი. **00.40** მხ. ფილმი **"რბოლა მთვარესთან ერთად"** (შ. პენი) **02.05** მხ. ფილმი **"ჩრდილების ქვეყანა"** (ე. ჰოპკინსი) **03.45** მხ. ფილმი **"კოლდიცი"** დრამა

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** ქართ. დოკ. ფ. "გზა მაცხოვრისა" **17.00** სერ. **"მეორე შანსი"** **20.00** მხ.ფ. **"მალდონადოს სასწაული"** **01.00** მხ.ფ. **"მედგარი გული"**

**08.00** ან. ფილმი "პიტერ პენი და მეგობრეები" **10**-სერ. **08.30** ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" **10**-სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00, 05.00, 07.00** ქრონიკა **09.10** სერ. **"გმირები 3"** **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.50** ქ. სერ. "ოტელო" **2** სერ. **14.40** სიმართლეს დრო. **15.40** სერ. **"მოჯადოებული"** **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ქართ. სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **00.00** ყოფილი ცოლების კლუბი. **01.00** მხ.ფ. **"ღვთის გამოგზავნილი"** რ. დე ნირო. **03.30** მხ.ფ. **"საბედისწერო ნიშნები"**ნ. კეიჯი. **07.15** სერ. **"მოპარული ბედნიერება"**.

**07.30** MTV CRIBS **08.00** MTV ROOM RAIDERS **08.30** MTV MY SUPER SWEET **09.00** MTV MADE **09.30** MTV LAGUNA BEACH **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** ქარ. მხ.ფ. **"კეთილი ადამიანები"**. **14.00** შერეკილები. **15.30** სერ. **"თანამედროვე ოჯახი"** **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **20.05** სერ. **"ველური ყვავილი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **22.40** ჩემპიონთა ლიგა. **00.30** MTV PUNK'D **01.00** MTV Boyling Points **01.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. **02.00** MTV True Life **02.30** მხ.ფ. (ტიტ.)

**08.00** ან. ფ. "პრინცესა შეჰერაზადა". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. **12.25** სერ. **"პოლიციელთა ამბები"** **13.00** მხ. ფ. **15.15** ან. ფ. **17.10** სერ. **"ელიზა და რივომბროზა-II"** **18.00** მხ. ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფ. **00.00** მხ. ფ. **01.50** მხ. ფ.

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 03.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** დოკ. ფ. **10.30** დოკ. ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერიალი **"საგა"** **12.50** სერიალი **"სენიორა პრეზიდენტი"** **13.50** მუსიკა **15.15** დოკ. ფ. **16.00** დოკ. ფ. **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **19.30** ანონსი. **19.35** სერიალი **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **23.00** დოკ. ფ."ისინი" **23.30** მხ. ფ. **"გამოგონილი გმირები"** **01.20** მხ. ფ. **"რა მშვენიერი ხარ"**

ერთსულოვნება **08.30** დოკ. ფ. "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი". **08.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **09.00** ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება (ტრანსლაცია). **12.30, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **12.35, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური. **12.40** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან. **13.05** კონცერტი. **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** დოკ. ფ. "სამთვარო დედათა მონასტერი". **16.40** დოკ. ფ. "გემლერებოდეს დედაო" **18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **18.10** პატრიარქის ქადაგება. **18.20** დიდ ხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **19.20** ჩვენი ტრაპეზი. **19.30** დროის ჩანაწერები. **20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.25** მეძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა. **21.35** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. **22.25** მგზავრები წუთისოფლისა. **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** დოკ. ფ. "დედაო ღვთისა". **00.35** ერთსულოვნების სალონი. **01.30** კონცერტი.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 agvisto

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6421
ევრო —2,0162
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779
რუსული რუბლი — 0,0512

**ამინდის პროგნოზი 28 აგვისტოსთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 31-33, ღამით — 14-22;
დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 30-35, ღამით — 20-21;
სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 24-26, ღამით — 10-14





# seqtemberSi

# ახალ თაობასთან“

## ერთად

## უნიკალური გამოცემა

cfmfhsdtkjcbcnjhbf

## ერთ წიგნად/

დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დაუშვილის მონოგრაფია სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია, გამიზნული როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის. მასში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი უძველესი დროიდან 2009 წლამდე.


## დამალული ინფორმაცია და აუსრულებელი სიტყვები

**რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი დიდის ამბით გვამცნობდა, რომ საქართველოს 16-წლამდე ნაკრები ლიტვაში, პალანგის ტურნირზე იასპარეზებდა. ტურნირი უკვე დამთავრდა, მაგრამ მის შესახებ ვებგვერდზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. თუმცა, ახლა ისეთი დროა, ნებისმიერი ინფორმაციის საშუალება სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტ-სივრცით მოიპოვება. ჰოდა, გასაკვირიც არ არის, თუ რატომ არაფერია ნათქვამი სფფ-ს ვებგვერდზე.**



ნოდარ აკობიას შეგირდებმა პირველი მატჩი 1:5 რომ წააგეს ლიტვასთან, უკვე ვწერდით. შემდეგ იყო ისევ ჯგუფური მატჩი გერმანიის შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარის ნაკრებთან, რომელთანაც 0:2 დავმარცხდით და ჯგუფში ბოლო ადგილი დავიკავეთ. ამას მოჰყვა, მეხუთე ადგილისთვის მატჩი ბ ჯგუფის ბოლო ადგილოსან ბელორუსთან — ისევ მარცხი, ამჯერად 1:4 და ბოლო ადგილი პალანგის ტურნირზე. მოკლედ, 3 თამაში, 3 წაგება, ბურთები 2:11 — დაგვეთანხმებით, კატასტროფული შედეგია.

საინტერესოა, რატომ „გვიმალავს“ ფედერაციის ვებგვერდი ამ ცნობებს და უკვე მერამდენე შემთხვევა იქნება, როდესაც ზედიზედ 3 წაგებული მარცხის შემდეგ ნაკრების მწვრთნელი თანამდებობაზე დარჩება.

გეხსომებათ, თავის დროზე ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა — რომელი ნაკრებიც ზედიზედ 3 მატჩს წააგებს, მწვრთნელი თანამდებობას დატოვებსო.

მ. ჟ.

## ფორმულა ერთის პრეზიდენტმა მალულად იქორწინა

**კომპანია ფორმულა ვან მენეჯმენტის პრეზიდენტმა, 81 წლის მილიარდერმა ბერნი ეკლსტოუნმა 36 წლის ქალთან საიდუმლოდ იქორწინა.**

თუმცა, ეს მოვლენა დიდი საიდუმლო მაინც არ ყოფილა. აპრილში ეკლსტოუნმა და მისმა ახალგაზრდა შეყვარებულმა ნიშნობის შესახებ გამოაცხადეს. საპატარძლოს მაშინ მილიონერმა 158 ათასი დოლარის ღირებულების ბეჭედი აჩუქა.



როგორც ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, ეკლსტოუნისა და მისი ხელქვეითის, მარკეტინგის დირექტორის, ბრაზილიელი ფაბიანა ფლოსის ქორწინება სათხილამურო კურორტ გშტადში, მეგობრების ვიწრო წრეში გაიმართა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქორწინებას ყველა არ შეხვედრია ენთუზიაზმით. ფორმულა ერთის პრეზიდენტის ქალიშვილები, 28 წლის მოდელი თამარი და 24 წლის დიზაინერი პეტრა მამის ქორწილს არ დასწრებიან.

ოჯახთან დაახლოებული მეგობრების თქმით, მას შემდეგ, რაც მილიონერმა გამოაცხადა, რომ ფაბიანა ფლოსზე დაქორწინება სურდა, მამასა და უფროს ქალიშვილს უთანხმოება მოუვიდათ. მიზეზი ალბათ ის გახლდათ, რომ 38 მილიონიან სახლზე, სადაც ფაბიანა იცხოვრებს, თამარს ეჭირა თვალი. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ იგი მეგობარ ვაჟსაც დაშორდა და ალბათ ამანაც იმოქმედა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლსტოუნი ფლოსზე 46 წლით უფროსია, მათი ურთიერთობა 2009 წელს დაიწყო. ერთმანეთი მათ საო პაოლოში გაიცნეს, ბრაზილიის გრან პრის დროს, ეკლსტოუნისა და მისი მეორე ცოლის, ყოფილი მოდელის სლავიკა რადიჩის განქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. ეს განქორწინება პრესამ ფართოდ გააშუქა და არც არის გასაკვირი — განქორწინების შედეგად ეკლსტოუნი იძულებული გახდა ყოფილი ცოლისთვის გვარიანი კომპენსაცია გადაეხადა.

გ. თ.

## .დტაფვ უფბსღფაბცობყტს=

**წარმატებული დღეა**

fcnhjghjuyjpb
@* ფუღბცნჯცსღბც

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — წარმატებული დღეა, ყველა საქმეს აგვარებთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** — ნურავის აყვებით, საკუთარ თავს დაუჯერეთ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ფულიც გაქვთ. **ქალწული** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, დიდი წარმატება გელით. **სასწორი** — საღამო მშვენიერი იქნება, დაჯილდოვდებით. **ღრიანკალი** — ფული გაქვთ, სანერვიულო არაფერია. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

უბცეჰღტ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=

## hჰჯცღჯჰცბ ფ

**შვეულად:** 1. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 2. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 3. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 4. შემწე, მფარველი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მსხვილი საკარმიდამო მამული არგენტინაში 7. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდას რაიონში; 11. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 15. კუნთების სავარჯიშო ხელის სატანვარჯიშო იარაღი; 16. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. აკვიატებული შიში; 20. მდინარე გურიაში; 22. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა.

**თარაზულად:** 6. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 8. უკრაინის მმართველთა ტიტული; 9. წინასწარ დამუშავებული გეგმა; 10. საგზაო მშენებლობაში გამოყენებული ფისი; 12. ცხენის ერთგვარი სვლა; 13. ფულის ერთეული ჩინეთში; 14. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 19. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 21. შვედი გამომგონებელი, მრეწველი, საერთაშორისო პრემიის დამფუძნებელი; 23. მოხარშული ზეთი ლაქებისა და საღებავების დასამზადებლად; 24. ქართული სადაზღვევო კომპანია; 25. ნახევარკუნძული ჩრდილო ამერიკაში; 26. სახლის სხვენში მოწყობილი საცხოვრებელი სათავსო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## იუმორი



❖ ❖ ❖

— ჭკვიანს იმ ადამიანებს ვუწოდებთ, რომლებიც ყველაფერში გვეთანხმებიან...

❖ ❖ ❖

ექსკურსიაა ჯოჯოხეთში. დამთვალიერებლებს დასჯილ ცოდვილებს — მკვლელებს, მოძალადეებს უჩვენებენ. ერთ ოთახში მდუღარე კუპრით სავსე ქვაბში მშვიდად დაცურავს ინტელექტუალური გარეგნობის მამაკაცი.

— ვინ ხართ?

— მასწავლებელი.

— ჯოჯოხეთში რისთვის მოხვდით?

— ამას ეძახით თქვენ ჯოჯოხეთს?

❖ ❖ ❖

ტიპი პარიზიდან დაბრუნდა, ძმაკაცები ეკითხებიან, პარიზელი ქალები როგორ მოგეწონა, ჩვენი ქალებისაგან ძალიან განსხვავდებიანო.

— რა შედარებაა. ერთ პარიზელ გოგონას დავუნიშნე პაემანი.

— მერე?

— ლიურექსის საწვიმარი ეცვა, კაპიუშონით, ისეთს აქ ვერ იშოვით. საწვიმარი რომ გაიხადა, ვარდისფერი შიფონის კაბა გამოუჩნდა, მინასავით გამჭვირვალე იყო. კაბა რომ გაიხადა, ვალონური მაქმანის თეთრეული გამოუჩნდა, ვერცხლის ძაფებითა და სტრაზებით მორთული აჭიმებით, თეთრეულიც გაიხადა და...

— მერე?

— მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც აქ, ჩვენთან...

❖ ❖ ❖

— კედლებს თუ ყურები აქვთ, წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება ჰქონდეთ ბოძებს...

❖ ❖ ❖

— მაკიაჟი — საკუთარ სახეზე სხვა, უფრო ლამაზი ქალის სახის დახატვის მცდელობა...

❖ ❖ ❖

— მომილოცავს, მალე ჩვენი ოჯახები დამოყვრდებიან.

— როგორ? ჩემი ბიჭი და შენი გოგო?

— არა, მე და შენი ცოლი...

გ. თ.